

ნოდარ კობერიძე

ათი ლევ  
რობერტ ადართან



ნოდარ კობერიძე

## ათი დღე როპერტი ადართან

არის მას ახერა ყველა ცენტრულ ქალაქში.  
განს ყველა კუთხით მართვა სამყუდო.  
მე. ა-ველ ლიკვიდი ცენტრში ვძლიშვ  
და ა-ველ გუნდში ცენტრში მოვიდო!

ნოდარიძე ადართა




გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი, 2019

## ათი დღე ოობერტ ადართან (აჯიაშვილი)

ეს წიგნი არაჩვეულებრივ კაცზეა, დიახაც არაჩვეულებრივზე და მას რობერტ ადარი (აჯიაშვილი) ჰქვია. მისი ცხოვრება მართლაც რომ არაჩვეულებრივია, მისი ცხოვრების ძირითად ანი და ჰოეს როს გაეცნობით არც ებრაელობისთვის გეთმობა-ქართველს და არც ქართველობისათვის გეთმობა-ებრაელს. იგი ერთგვარად ორსახოვან იანუსს გაგონებს, სადაც ორივე ქართველისა და ებრაელის სრული სიმბიოზია- საუკეთესო თვისებათა ჯამით. წიგნი ერთი ამოსუნთქვით იყითხება და კინოფირივით გიჩვენებს ამ ვაჟკაცის ცხოვრების არსს, რომლის კითხვისას მისი ცხოვრების ლამის თანამონაწილე ხდები და უნებლიერ გულშემატკივრობ კიდეც. დღეს იგი გაერთიანება „გულთა კავშირის“ პრეზიდენტია-დანარჩენი კი წიგნში.

ათი დღე რობერტ ადართან



რედაქტორი

დამპაკადონებელი

მაყვალა გონაშვილი

თამარ ტყაბლაძე


როგორც ადარი  
სიტყვით გამოდის მცირალთა კავშირში



ეს იყო ორი მოძახვა ერთს  
გულიდან ამოძახილი



## ნიგნი პირველი პროლოგი-ეპლაველი კაცის ლოცვა



რობერტ ადარი

ბ ე თ ლ ე მ ი. ტ ა ძ ა რ ი, ადგი-  
ლი, სადაც იშვა ქრისტე. კაცი იყავ,  
კაცური და სადაც გ ი ნ დ ა, ი ქ ი ლ  
ო ც ე !!! და ვლოცულობ... მკერდში  
დაჭრილი საქართველოს გამთლიანე-  
ბაზე, ქართველი ვაჟკაცების თვალები  
ნაღვლიანი, რომ არასოდეს მენახოს,  
ქართველი ქალის მკერდში, რძე არა-  
სოდეს, რომ არ დამშრალიყოს, ერი  
გამრავლებულიყოს, ყოველ ოჯახს  
სულიერი სიმშვიდით, რომ ეცხოვროს  
და ქართველ ქალბატონებს, უცხოეთ-

ში წასვლა არ დასჭირვებოდეთ, რათა შვილებისათვის საზრდო  
გამოეგზავნოთ, ქართველ ვაჟკაცებს, ქალიშვილებს, ერს და  
ბერს, სიამაყის გრძნობით დაუფლებულებს, ამაღლებული ქარ-  
თული სულით, რომ ეცხოვროთ და არა, როგორც უცხო ტომე-  
ბისათვის მომსახურების სფეროში დასაქმებულებს. აი აქ, ამ  
დიდებული ქრისტიანული ტაძრის წინ მდგომი, მე, ჩემი სარწმუ-  
ნეობით ებრაელი, ქართულ მინაზე დაბადებული, მეტყველებით  
ქართველი, ვლოცავ ქართველი ქალის წმინდა მანდილს, ქართუ-  
ლი სიტყვის წადილს, გლეხი კაცის დაკოურილ ხელებს, ქართულ  
ვაზს და მის ცრემლებს, ჩვენს ბანდას, სამეგრელოს ერთ- ერთ,  
პატარა ულამაზეს და უსაყვარლეს სოფელს, საიდანაც დაგვი-  
ტოვეს და შეგვასისხლხორცე-  
ბინეს ჭირში და ლხინში ერთობის  
აზრი, ენის, მიწისა და სამშობლოს  
სიყვარული ჩვენმა სახელოვანმა  
წინაპრებმა დიახაც, რომ სისხლ-  
ში გააჯერეს. ვლოცავ მკერდში  
დაჭრილს, ჩვენს მშობლიურ საქა-





რობერტ ადარი და  
პატა ლოსები

რთველოს, ვუსურვებ გამთლიანებას და აყვავებას, ვუსურვებ თითოეულ ოჯახს, მის ხალხს ყველა ერის შვილს ვლოცავ, ვისაც ერთმანეთის ბედნიერება სწყურიათ და საქართველოს აღმავლობა სურთ და უხარიათ! ვლოცავ იმ დიდებულ ქართულ მიწას, ვინც გამოგვევება, გამოგვზარდა და დღემდე მოიტანა ჩვენი სიცოცხლე, ვლოცავ მიწას, რომელმაც მიიბარა დედაქემის ნეშტი დამპალოს სასაფლაოზე უკუნითი უკუნისამდე ამენ. ლოცვას ვუგზავნი ქვეყანას

და მის ბრძინვალე ხალხს, სადაც ყოველთვის იბადებოდა ბედნიერი კაცის ცხოვრება! და ეკვლავაც იბადებოდეს! სადაც, ადამიანებს ერთმანეთის ბედნიერება გაეხარდებათ, ასეც იქნება, აყვავდება ქვეყნის უკლებლივ ყველა ოჯახი, დამკვიდრდება ძმობა, ერთობა და სიყვარული, დაისადგურებს სულიერი სიმშვიდე და თბილისის ცის ქვეშ ჰაერსაც, თავისი განსაკუთრებული გემო დაუბრუდება! გამრავლდება ერი ქართველთა და საქართველოდან ამოსული ებრაელობა, ისრაელის აღთქმულ, მითოსით მდიდარ წმინდა მიწაზე, მრავალფეროვნად იზეიმებს, მტრობაზე, შუღლზე, უვიცობაზე და უზნეობაზე გამარვებას! დედამიწის ამ უმშვე-



რობერტ ადარი და  
ნურზარ ჯანაშვილი  
იერუსალიმი,  
ჯვრის მონასტერი,  
რუსთაველის ფრესკასთან  
ვაჭისსტყაოსით ხელში

ნიერეს კუთხეში, სადაც მიწა თავისი ნოუიერებით ყვავის და თი-თოეული კენჭიც კი მღერის სინათლე საბოლოოდ დაამარცხებს სიბნელეს და ამიტომაც, ხმამაღლა ხან ფეხზე მდგომი ვლოცულობ, ხან კი, დაჩოქილი გავკივი, ლეგენდებით მდიდარი ტაძრი-დან, ადგილიდან სადაც იესო იშვა: კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე! -ეს რობერტ ადარის სიტყვებია, რომელშიც სარკესავით აირეკლება ამ კაცის სახე!



რობერტი მეგობრობით გარშემორტყმული  
მერაპ მიხაელი, ნოდარ კოგერიძე, შალვა წილაშვილი,  
გალათერ არაპული და ჩამუსლული რობერტ აჯიაშვილი

## თარიღები

რამ მომაფიქრა ამ წიგნის დაწერა? ბევრმა "არაფერმა", მას უბრალოდ მეგობრის მონატრებას დავარქმევდი. იგი მრავალი რეგალიებით არის შემკული, დაწყებული მწერალთა კავშირის საპატიო წევრობიდან, დამთავრებული დავით ალმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორობა, იგი ერთერთი დამფუძნებელი და



აეროპორტში

შემკული, დაწყებული მწერალთა კავშირის საპატიო წევრობიდან, დამთავრებული დავით ალმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორობა, იგი ერთერთი დამფუძნებელი და

სულის ჩამდგმელია "გულთა კავშირისა" და კიდევ მრავალი სხვანი, (საქართველოს ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში) რომელთა ჩამოთვლა ორა შორს წაგვიყვანს, ორა შორს!!! მაგრამ ორ "რეგალიას" მაინც გამოყოფდი-ესაა, მისი ოჯახი და მეგობრობის ხალასი სიყვარული. ოჯახის დიასახლისს ქალბატონ დოდოს კეთილ-ანგელოსს დავარქმევდი. შეაბიჯებ თუ არა მის ოჯახში რაღაც იდუმალი ძალა გაგრძნობინებს რომ სავანეში, სიკეთის სავანეში მოხვდი, ესაა ოჯახურობის ტრადიციის გუშაგი-ხოლო მისი



ნანა დავარის დაჯილდოების სფერა  
მარცხნიდან ნოდარ კობერიძე, ნანა დოირი,  
გაღამერ არაგული, ნუგზარ ჯანაშვილი



ბალათერ არაპული



ნუშტარ ვანაშვილი  
ნანა დავარი, როპერ აზარი  
იუზა მოშიაშვილი



ქალიშვილები და შვილიშვილები ამ სათნოების მატარებელნი რომ არიან, ამასაც წამს შეიგრძნობ. მეორე "რეგალია კი გახლავთ უფლისგან ნაბოძები მოყვასის სიყვარულის უსაზღვრო ნიჭი, მეგობრობის ნიჭი, ერთგულების ნიჭი, სიყვარულის სითბოში ადლებილი ნიჭი! ჩვენი მეგობრობა 30-წელზე წინ დაიწყო, მერე იყო 30-წლიანი წყვეტა და თავის მეორე თუ პირველ(არ ვიცი როგორა ვთქვა, ორივე სწორი მგონია), სამშობლოში დამკვიდრდა, მოძლიერდა თუ არა ძველი მეგობრების მოძიებას მიჰყო ხელი და ასე "ფეისბუქში" აღმომაჩინა, აღმომაჩინა არამარტო მე არამედ ხელმეორედ აღმომაჩინა მთელი არმია მეგობრებისა და მას შემდეგ მოფერებასა და სითბოს ვით აკლებს მათ! ეტყვი რამეს მადლობის მსგავსს და თავისი მრავლისმეტყველი სახი-ერებით შემოგხედავს და ლოყებზე ალი აგივარდება, მორიდების, სიყვარულისა და მონატრების ალი! ჰოდა აი ამ "აღმა" დმაწერინა ამ დილით ეს ეპისტოლე! იხარე, იჯანმრთელე და იმრავალეამიერე ჩვენო კეთილშობილო ვაჟკაცო, დე მოგვენატრო, მთავარია, რომ ვიცით ამაყად დააბიჯებ ისრაელის ქუჩებში სიკეთის მადლით შემკული კაცი და მუხრანის ცნობილი



ცლები მირჩიან და მირჩიან!

ლექსის პერიფრაზით დავასრულებ ამ წიგნის შესავალ სიტყვას-იაროს, იაროს, იაროს-ამინ!

ჰოდა - „გულთა კავშირის“ ახლანდელ პრეზიდენტს, ამ კავშირის ერთ-ერთ დამფუძნებელს მასზედ წიგნის დაწერა რომ შევთავაზე, თავისი კეთილი ღიმილით ასე რომ ატყვევებს კაცს და სამეგობროდ გიზიდავს ვითარცა ანდამანტი, შემდეგი სიტყვებით მიპასუხა:

„არ ვიცი, არ ვიცი, როგორ მიიღებს საზოგადოება ჩემს ორივე სამშობლოში: საქართველოსა თუ ისრაელში - საქართველოში რობერტ აჯიაშვილის, ხოლო ისრაელში რობერტ ადარის, ფიქრთა სრბოლას, თანაც ასეთი პრეტენზიული სათაურით, მაგრამ ეს სრბოლა რომ უზაკველოდ ჩემი ცხოვრების რბოლაა, რბოლაა სადაც თავად მივაქროლებ ჩემი ცხოვრების ეტლს, რომელშიც მარად თავად გახლდით შებმული და ახლა ფინიშის სწორზე 77 წლით დამძიმებულს მუხლი რომ კიდევ მერჩის მეამაყება და მწამს ღირსეულად გადავკვეთ ფინიშის ხაზს! ამაში დარწმუნებული, დიახაც დარწმუნებული ვარ დარწმუნებული! რა გზა არ განვვლე, სად არ ვიყავ, მაგრამ ამაში გასაოცარი



ბალათერ არაპული და  
ნოდარ კოგერიძე  
გეთლევშვილი

არაფერია, მე ხომ იმ ერის შვილი  
ვარ ვისშიც მარადიული ურიაა  
ნაშობი, მაგრამ ამავე დროს იმ  
ერის შვილიც გახლავართ ვის უპ-  
ირველეს მგოსანს უთქვამს: რა-  
საცა გასცემ შენია რაც არა და-  
კარგულია და რომლის სამუდამო  
საყოფელი აქ ჩვენთან ისრაელში  
ჯვრის მონასტერში იმყოფება, არ  
ვიცი, არ ვიცი!“

მითხვა და თავი მორიდებ-  
ით დახარა. ამ კაცს მორიდება და  
ტაქტი ლამის დედის მუცლიდან  
დაჰყვება, ამშვენებს კიდეც და  
ვაჟკაცადაც წარმოგიდგენთ. აი  
რა მოგვწერა პირველი ვიზიტის  
ნინ ბატონმა რობერტმა. ტექსტი

ცოტა დიდია მაგრამ იქ ძვირფასი  
სიტყვები ისე არიან მიმობნეულე-  
ბი, ვითარცა მარგალიტნი ზღვის  
ფსკერზე და მათი ხელის ხლება  
დიდ მერქელობათ ჩავთვალე.  
მით უმეტეს, რომ ამ წერილს ხელს  
აწერს თავად რობერტ ადარი,  
მაგრამ იგი გულის თქმაა ყველა  
საქართველოდან ამოსული ქართ-  
ველი ებრაელისა, მე ასე დავინახე  
და დარწმუნებული ვარ არ შევმც-  
დარვარ!

მაშ გაეცანით:

„საქ.მწერალთა შემოქმედებ-  
ითი კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ



ნოდარ კოგერიძე  
რუსთაველის ფრესკასთან  
ვაჟხისტყაოსნით ხალში

ბალათერ არაბულს, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს

ბ - 6 ნოდარ კობერიძეს,



ბალათერ არაბული  
არ დარჩენილა ჯილდოს გარეშე

მოგესალმებათ და  
მოგელით ქვეყანა, ერთ  
ერთი ყველაზე პატარა  
სახელმწიფოა დედამი-  
ნაზე, ქვეყანა, რომელ-  
საც ერთის მხრივ ხმელ-  
თაშუა ზღვა აკრავს და  
მეორეს მხრივ გარშე-  
მო, მთელი ოკეანე 100  
მილიონიანი არაბული  
სახელმწიფოების. ქვეყა-  
ნა, რომელიც მსოფლიო  
გეოგრაფიულ რუქაზე,  
წერტილივით მოჩანს

და ისიც ლუპის ქვეშ, ქვეყანა, რომელიც თავისი არსებობის 70  
წლის მანძილზე, შიგნითა და გარეთ არსებული მტრებისაგან,  
ტერორიზმის ყოველდღიური მოსალოდნელი, მუდმივი საშიშ-  
როების წინაშე პირისპირ დგას, შენდება და ვითარდება და მას,  
ისრაელი ჰქვია!

ეს იმ ფონზე, როცა მსოფლიოში ოფიციალურად 26 მუსულ-  
მანური, ასზე მეტი ქრისტიანული და მხოლოდ ერთად ერთი  
ეპრაული სახელმწიფო ისრაელია!

იგი ჩვენი სამშობლოა, პატარა, მაგრამ მსოფლიო სტანდარ-  
ტების დონეზე ასული ძლიერი, უშიშარი და შეუვალი სახელმ-  
წიფო!

მოგესალმებათ ჩვენი ქვეყანა და თავისი გულის კარებს  
გილებთ, ჩვენს საყვარელ ძმებს ქვეყნიდან, სადაც ჩვენი ცხ-  
ოვრება დაიბადა, დაწყებული ჩემი ბანძიდან, საიდანაც ჩვენ



ეძსპროფილენტი და  
პრეზიდენტი

დაგვიტოვეს ჭირში და ლხინში ერთობის აზრი, ქვეყნისადმი უზომო სიყვარული და ერთ-გულება, იმ მიწის პატივისცემა, სადაც ავიდგით ფეხი, სადც დაირნა ჩვენი ქართული აკვანი, სადაც ვისწავლეთ ანი და პანი, ალეფ-ბეთი, მეტყველება, ამბორი და სიყვარული და აზრი მივანიჭეთ ჩვენს ცხოვრებას! მოგესალმებით იმ არნახული სილამაზის ქვეყნიდან ჩამოსულთ, სადაც ლამაზი და ლაზათიანი სტუმარ-მასპინძლობა იციან, სა- დაც ყოველთვის ამაყად ჟღერდა

თითოეული ქართველი ებრაელისათვის სიტყვა "სამშობლო ", რომელიც ერთობაში ასოცირდებოდა უკვდავ სიმბოლო - " საქართველოსთან ", სადაც დაიბადა ჩვენი ბავშვობა და ამ სიამაყის გრძნობით დავდივართ ახლაც, ჩვენს ფეხქვეშ ამოდებულ ამ ცოდვილ და დაღლილ დედამიწაზე!

გულში გიხუტებთ ჩვენს მეგობრებსა და ძმებს ქვეყნიდან, სადაც ანტისემიტიზმი არასოდეს ყოფილა, პირიქით ქართველი და ებრაელი კაცის გულები, გარდა საქმიანი ურთიერთობები - სა, ყოველთვის შეერთებული



კარაოკეზე ემიგრანტებთან



მა და როგორცი გოლგოთაზე

იყო წმინდა და მაღალი ადა-  
მიანური სიყვარულით.

თქვენ მოგელით საინ-  
ტერესო პროგრამა ჩვენს  
ქვეყანაში. მოგესალმებათ  
ჩემი სამშობლო, ჩვენი ის-  
რაელი, მისი ალთქმული  
და წმინდა მიწა, რომელიც  
პირველ ადგილზეა მსოფ-  
ლიოში, ერთ სულ მოსახ-  
ლეზე, ნობელის პრემიის  
ლაურეატობის მიხედვით  
და უსწრებს ისეთ ქვეყნებს,  
როგორიცაა ჩინეთი, ძექსი-  
კა და ესპანეთი. ამ პატარა  
სახელმწიფოს მოსახლეობა

თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე, 30-50 % ით გაიზარდა!

ჩვენს პატარა, სასწაულმომქმედ სამშობლოს, მსოფლიოში  
მერვე ადგილი უკავია, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივო-  
ბის მიხედვით და უსწრებს ისეთ მძლავრ ქვეყნებს, როგორიცაა  
დიდი ბრიტანეთი, აშშ და გერმანია!

ისრაელი აღიარებულია მსოფლიოში მესამე ქვეყნად,  
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიხედვით, ისრაელური  
ფილმები, სამი წელიწადია ზედიზედ დომინირებს ამერიკული  
კინო აკადემიის ოსკარის პრიზზე, როგორც უცხოური საუკეთე-  
სო ფილმები, იგი, კოსმოსის მეცნიერულ კვლევაში მსოფლიოში  
მესამე ქვეყნადაა აღიარებული!

ეს პატარა ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტ  
ინვესტიციას იზიდავს, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე მონინავე  
ქვეყანა, 30-ჯერ მეტს ვიდრე ევროპა!

ისრაელი ლიდერია მსოფლიო ბაზარზე, სამედიცინო აპა-  
რატების პატენტობით, კომპანიები, რომლებიც შემოდიან ჩვენი

სამშობლოს სივრცეში, უფრო მეტია ვიდრე ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთში და იაპონიაში ერთად აღებული, და ბოლოს, ისრაელი ერთად ერთი სახელმწიფოა მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც უბრუნდება 2000 წლის წინათ აყრილი, განდევნილი და მსოფლიოს სხვა და სხვა გეოგრაფიულ წერტილებში გაფანტული თავისი ერის შვილები, რომელიც " მეგზური და დევნილი ერის" სახელითაც კი შეამკეს.

რეპატრიაციის ამ ტალღას, საქართველოში შავი დროების მძვინვარების გამო, ვერ ასცდა ჩვენი თაობაც, ავიყარეთ საქართველოდან, ვმოქმედებდით ჩვენი სურვილების წინააღმდეგ, წამოვდით და გამოგვყვა ქართველი ხალხის სითბო და სიყვარული, გამოგვყვა ამ მიწის სიყვარული, სიყვარული მიწისა, რომელსაც ჩახუტებული ჰყავს, დედაჩემის ნეშტი დამპალოს სასაფლაოზე უკუნითი უკუნისამდე!

მაგრამ, ჩვენ ვიყავით ვალდებული, ჩვენი ბავშვები, მოხუცები, ოჯახები გადაგვერჩინა!

ახლა კი, გელოდებით თქვენ, აქ ჩვენს სამშობლოში, ისრაელის წმინდა მიწაზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც ჩავუშვით ჩვენი სიცოცხლის ხომალდის ღუზა, სადაც მოუთმენლად ველოდებით თქვენთან შეხვედრას, რადგან უქართველობა და ნოსტალგია ძალიან გვანუხებს, თითქმის გადაგვევეტა სასუნთქი ორგანოები და ამიტომაც ვეცდებით ვიყოთ, ჩვენი ძმების, საპატიო სტუმრების, ლირსეული მასპინძლები.



ისრაელის ელჩთან  
თბილი ურთიერთააფიცისადა  
ჩამოგვიყალიბა



შუაში როგორც ადარი, ჰამლეტ ხუსაშვილი

ამაღლებული სულით მოგესალმებით, იმ სასახლის წარმოგზავნილებს, სადაც ოდითგანვე ყალიბდებოდა ქართული სული, მდიდარი ტრადიციები, სადაც დაირნა ქართული ინტელიგენციის აკვანი, სადაც 2017 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა შესანიშნავი საღამო, პროფესორ შალვა წინუაშვილის წიგნის „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“, პრეზენტაცია და შემდეგ, როგორც შესანიშნავმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ბ-მა ნოდარ კობერიძემ განაცხადა, ტრიუმფით მოიარა საქართველოს სხვადასხვა ქალაქები, საღამო რომელიც ქართულ-ებრაულ მინი სიმპოზიუმს უფრო წააგავდა. აქ თავი მოიყარა საქართველოს მწერლების, პოეტების და ხელოვნების მუშაკების, ქართული ინტილიგენციის შესანიშნავმა ელიტამ, სადაც მოხდა საპატიო ჯილდოებითა და წოდებებით, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა გამოჩენილ პირების დაჯილდოება.

ამით ქართველმა ხალხმა, კიდევ ერთხელ დაუნთო წმინდა სანთელი ქართულ-ებრაულ უნიკალურ ურთიერთობას, რო-

მელსაც ალბათ იუნესკო მიანიჭებს "არამატერიალური ღირებულების კულტურული ძეგლის" "სტატუსს.

ეს კი მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევაა!!! ამიტომაც ვუფრთხილდებით ჩვენი ურთიერთობის ასეთ სტატუსს და ვეც-დებით ვიყოთ თქვენი ღირსეული მასპინძლები, მდიდარი ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე,

ქართული სტუმარ-მასპინძლობით უნიკალური ტრადიციით რამდენად შევძლებთ ყოველივე ამას, ვთიქობ შეჯამდება და გაირკვევა 2018 წლის 21 აპრილს, საღამოს 20 საათზე დანიშნულ თქვენს შეხვედრაზე, საქართველოდან ამოსულ ებრაელ მოსახლეობასთან, ქ. აშდოდის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, რომლის უფლებაც მოვიპოვეთ, ქ.ალაქ აშდოდის მერის მოადგილის, ბ-6 მოშე ბოთერაშვილის ძალისხმევითა და დახმარებით. უდავოდ ბ-6 მოშეს მიუძღვის ლომის წილი, ასეთ დიდებულ საქმეში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

უღრმესი მადლობა მას იმისათვის, რომ მის მეორე პროფესიას ადამიანებისათვის დახმარება და სიყვარული, რომ ჰქვია სახელად. იგი ყოველთვის იმ თამასასთან დგას, სადაც შეიძლება, მისმა მოქმედებამ ქართველ ებრაელთა ღირსების დონე კიდევ უფრო მაღლა ასწიოს.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით, ესოდენ ძვირფასო და საპატივსაცემო ჩვენო სტუმრებო, ჩვენო საყვარელო ძმებო და ხმამაღლა გეუბნებით:

კეთილი იყოს თქვენი ფეხი, ისრაელის წმინდა მიწაზე,  
ანუ ბარუს აბაიმ !!!

რობერტ ადარი

ისრაელი, ხულონი

14.4.18

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ იუნესკოს ჯერ არ დაუმტკიცებია ჩვენი-ძმობის ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის, „არამატერიალური ღირებულების კულტურული ძეგლის“

სტატუსი, მაგრამ მერე რა, ჩვენ ამ ორი ერის შვილებმა ხომ ვიცით რომ ეს შეყოვნება ვერაფერს დააკლებს ჩვენ ძმობას და როგორც ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი რომანის გმირი დათა თუთაშებია იტყოდა-ასეა ეს და ასეც იქნება, ჩემი მხრივ კი და-ვამატებდი, რომ თხრობას ამ არაორდინალურ პიროვნებაზე პირველი ვიზიტით დავიწყებ რომელიც 2018 წლის მაისში შედ-გა და სადაც გაერთიანება „გულთა კავშირის“ მიწვევით გამო-ჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მწერალთა კავშირის მაშინდელი თავჯდომარე ბალათერ არაბული და თქვენი მონა მორჩილი ნოდარ კობერიძე(ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლა-ძის, ნიკო ლორთქიფანიძის და დავით ალმაშენებლის პრემიების ლაურეატი, მწერალთა კავშირის გაგეობის წევრი), გახლდით. მაშინ მე მცირე წიგნი გამოვაქვეყნე ამ ვიზიტზე, რომელსაც „პირმშო“ დავარქვი და იგი ერთგვარ უკერტიურად დაედება ამა წიგნს, ხოლო მეორე ნაწილში გაერთიანება“გულთა კავშირის“ პრეზიდენტის ბატონ რობერტ ადარის მიერ პირადად მიწვეულ-ნი გახლდით ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქი-ფანიძის, დავით ალმაშენებლის პრემიების ლაურეატი, თქვენი მონა მორჩილი ნოდარ კობერიძე და მწერალთა კავშირის თანა-თავმჯდომარე გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე: ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, ანა კალანდ-აძის, თბილისური გაზაფხულის ფესტივალის, უკრაინის პოეტუ-რი თანავარსკვლავედის, ბულგარეთის მთარგმნელთა კავშირის, სერგეი მიხალკოვის პრემიების ლაურეატი, სომხეთის მსოფლიო ფესტივალის გრან-პრის მფლობელი, იტალიის პოეზიის ფესტი-ვალის გამარჯვებული, მაყვალა გონაშვილი მეუღლითურთ ბა-ტონ მერაბ კეზუას სახით.

მაშ ასე დავიწყოთ!

## თიბის მეორე



როგორც ის საამაყო მჯახი

მოდით ჯერ ბი-  
ოგრაფიის მშრალი  
ციფრული დავდოთ და  
მერე სათითაოდ გა-  
ვაცოცხლოთ ამ საო-  
ცარი პიროვნების ცხ-  
ოვრებაი საკვირველი!

ო ფიციალუ -  
რი სახელი-რობერტ  
ადარი

დაბადების თარი-  
ღი 18 ივნისი 1942 წელი  
კატეგორია: პოეტი

### ბიოგრაფია

“სანთლებს დავუნთებ მე  
შენს წარსულს, ჩემო თბილი-  
სო, ვერ დავივიწყებ შენს სიყ-  
ვარულს, გულში რომ დამრჩა,  
წარსულს მიხატავს მოგონე-  
ბა თანაცხოვრების დავრჩი  
უგულოდ, მქონდა იგი და შენ-  
თან დამრჩა”...

ეს სიტყვები ქართველ-  
ებრაელ პოეტს რობერტ ადარს  
(აჯიაშვილი) ეკუთვნის, რომ-  
ლისთვისაც თბილისში ყო-  
ველი ჩამოსვლა სასიამოვნო  
მღელვარებასთან ასოცირდე-  
ბა და თბილისი მისი მუდმივი  
მონატრებაა...



ნოდარ კოგარიძე,  
თემურ ჭავითაძა და  
როგორც ადარი  
თბილისში - რესტორაციი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მაგიდის ჩოგბურთის სექციაზე. მცენტრის რობერტ ადარი (გარჯვები)

რობერტ ადარი (აჯიაშვილი) 1942 წ. 18 ივნისს თბილისში დაიბადა. გაიზარდა გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. უბანში „რობას“ მეტსახელით იცნობდნენ. 1960 წ. თბილისის 71 (ყოფილი 37) საშუალო სკოლა დაამთავრა, 1966 წელს - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი. მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „მაღლივმშენები“ ეკონომისტ-ფინანსისტად, საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო და საქართველოს ყრუ-მუნჯთა სასწავლო საწარმოო კომბინატებში. 1986 წ. ჩამოაყალიბა ქალალდების საწარმო კომპერატივი „ლებარდე“ და მისი თავმჯდომარე იყო 1993 წლამდე.


სკოლანდელი ასაკიდან რობერტ ადარი მისდევდა სპორტს. იყო სხვადასხვა საკავშირო ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების მონანილე. 1950-ანი წლების ბოლოს და 1960-იან წლებში არაერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და დიდებს შორის მაგიდის ჩოგბურთში.



ეავალა გონავილი და ნოდარ  
კობერიძე  
საუზმის დროს

რობერტ ადარი ისრაელში პირველად 1974 წ. ჩავიდა როგორც ტურისტი. 90-იან წლებში საქართველოდან, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, ნასვლის გადაწყვეტილების მიღება აჯიაშვილების ოჯახისთვის ადვილი არ ყოფილა. თუმცა 1993 წელს, როდესაც საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, რობერტ ადარი მეუღლესთან დორა ადართან (დოდო ბათაშვილი) და ქალიშვილების ოჯახებთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში ავიდა. ისრაელში ადაპტაციის და დამკვიდრების პირველი წლები რთული იყო, მაგრამ შრომისმოყვარეობით და ახლობლების მხარდაჭერით ოჯახმა სირთულეები დასძლია. რობერტ ადარი დღემდე მუშაობს ისრაელის ელექტროკომპანია „ხევრათ ხაშმალში“, ტრანსპორტის განყოფილებაში.

რობერტ ადარი არის პოეზიის, განსაკუთრებით ქართული პოეზიის დიდი მოჭირნახულე. მისი ლექსები იბეჭდება ისრაელისა და საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში. რამდენიმე ლექსი შესულია საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიაში. 2017 წ. არ-



შალვა წილავალი,  
ნოდარ კობერიძე,  
იზოლდა მოშიავილი,  
კომე თავართებილარე,  
ბალათერ არაპული



კომარზიშვილი ვაჟა აზარაშვილი, ეს და  
თემურ დავითაშვილი

ჩეული იქნა  
საქართველოს  
მწერალთა კავ-  
შირის საპატიო  
ნევრად, დავით  
აღმაშენებლის  
სახელობის აკა-  
დემიის საპატიო  
პროფესორად,  
საქართველოს  
მწერალთა კავ-  
შირის დესპანად

კულტურის საკითხებში ისრაელში. ქართულ-ებრაულ ურთიერ-  
თობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურე-  
ბისათვის რობერტ ადარი დაჯილდოებულია მაქს შავიტის აკა-  
დემიის საპატიო ორდენით - „ლირსეული ქართველი ებრაელი“.  
დაჯილდოებულია ასევე შოთა რუსთაველის საზოგადოების სა-  
პატიო სიგელით.

რობერტ ადარის საქმიანო-  
ბაში განსაკუთრებული ადგილი  
უჭირავს საქართველო-ისრაელს  
შორის კულტურული ურთიერ-  
თობების გაღრმავებას. 2018  
წელს ისრაელში მან და მისმა თა-  
ნამოაზრებმა - პროფესორმა  
შალვა წიწუაშვილმა, მწერალმა  
ნუგზარ ჯანაშვილმა, ან განსვენ-  
ებულმა პოეტმა ნანა დავარ-  
მა, ქალაქ ხაიდის არქიტექტორ  
პაატა იოსებაშვილთან ერთად  
დააფუძნეს ქართულ-ებრაულ  
ურთიერთობათა გაერთიანება



მასაიძელი



ორგანულ ადარი და  
იუზა მოშიავვილი

„გულთა კავშირი“. 2019 წ.  
რობერტ ადარი „გულთა  
კავშირის“ პრეზიდენტად  
აირჩიეს, იყო დავით აღ-  
მაშენებლის საზოგადოების  
პრეზიდიუმის წევრი.

რობერტ და დორა  
ადარების ოჯახი ცხოვრობს  
ქალაქ ხულონში. ჰყავთ  
ორი ქალიშვილი და ოთხი  
შვილიშვილი.

იშვიათად მშრალი ინ-  
ფორმაცია ასეთი მეტყვე-  
ლი იყოს. წაიკითხავ მას და  
კინოს კადრებივით აციმ-  
ციმდება ცხოვრება ჯაფა  
გამოვლილი კაცისა, კაცისა,  
რომელსაც ვალი მოუხდია

ორივე სამშობლოს წინაშე და ახლა დაუდეგარი ცხოვრება გამ-  
ოვლილი, თითქოს უნდა ტკბებოდეს თავისი განვლილი ცხოვრე-  
ბით, მაგრამ არა-ვიდრე თუნდაც ერთი დღის სამყოფი ენერგია  
მაქვს სახლში რა გამაჩერებს, საქმენი თავისას მოითხოვენო.

პოდა ამ „საქმიდან“ გამომდინარე მიგვიწვია, მე და მაყვა-  
ლა გონაშვილი მეუღლითურთ. რობერტს კი მე საქართველოს  
დავით აღმაშენებლის საზოგადოებიდან ვიცხობ. რომლის თავ-  
მჯდომარე გახლდათ გამოჩენილი ქართველი მწერალი და ვაჟა-  
აცი კაცი გურამ ფანჯიკიძე, ამ საზოგადოების პასუხისმგებელი  
მდივნი გახლდით თქვენი მონა-მორჩილი, რობერტი კი პრეზიდ-  
იუმის წევრი გახლდათ. იგი ბალთერ არაბულთან ერთად საგა-  
მომცემლო საქმიანობას ედგა სათავეში ამავე დროს იგი აქტიურ  
მონაწილეობას ღებულობდა ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის  
ეკლესიის აღდგინების საქმეში, ასე რომ ამ ტაძრის საძირკველ-

ში ებრაელი კაცის ოფლიც ჩაღვრილა. მართალი გითხრათ ეს სულაც არ მიკვირს, ჩვენი და ებრაელი ერების დუღაბში ვინ მოსთვლის რამდენი ებრაელი კაცის ოფლი და სისხლი ურევია. მერე დრო რომ აირია საქართველოში ოჯახი განარიდა ავაზაკების პარპაშს და ისრაელში ავიდა. ამ დღის შემდეგ თითქოს სამუდამოდ დავშორიშორდით, ოცდაათ წლამდე გავიდა, არაფერი მსმენოდა მისი და აი ერთ მშვენიერ დღეს ფეისბუკის პირად წერილებში მისი წერილი დავლანდე. ოი, როგორი იყო ჩემი გაოცება და სიხარული ამას ვერ აღწერს კაცი, აქ მარტო გულის ჩქამთა აჩქარებული რიტმის სმენაა საჭირო. და ამ დღიდან დაიწყო, დანგრეული? როგორ გეკადრებათ, გულის სიღრმის სკივრ-ში სათუთად შენახული ძმობის აყვავების ხანა. აღმოჩნდა რომ მთელი ეს წლები ოცნებად დაატარებდა სიყვარულს ჩვენსას და აი გაზაფხულიც დადგაო.....

პირველად თვითონ ჩამოვიდა, ხომ წარმოგიდგენიათ ამდენი წლის მეგობრებთან შეხვედრა, რა თქმა უნდა იყო ცრემლიც და ღვინის სმაც მაგრამ მათ უკან საქმე იდგა. ისრაელში მოღვაწე მწერალ ქართველებს ქართულ ენაზე პოეზიის ანთოლოგია გამოუციათ (მისი სულის ჩამდგმელი გახლვთ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მწერალი შალვა წინუაშვილი) და ეს ძვირფასი წიგნი მოგვართვეს კიდეც. ამავე დროს გადაუწყვეტიათ შეექმნათ გაერთიანება „გულთა კავშირი“, რომლის ძირითადი მიზანი ჩვენი ერების სულიერი კავშირის განმტკიცებაში მდგომარეობს. აი ისინიც; ნანა დვირი (ამ უნიჭიერესი პოეტის ნაადრევმა წასვლამ ამა ქვეყნიდან ძალზედ დაგვწყვიტა გული), რობერტ ადარი-აჯიაშვილი, არქიტექტორი პაატა იოსები-იოსებაშვილი, მწერალი და სზოგადო მოღვაწე ნუგზარ ჯანაშვილი, პროფესორი შალვა წინუაშვილი. სიტყვა და საქმე ერთი იყო, მართლც შეიქმნა „გულთა კავშირი“ რომელმაც არაერთ კეთილშობილურ საქმეს დაუდო სათავე, რომლის ახლანდელი პრეზიდენტია რობერტ ადარი-აჯიაშვილი (პირველი პრეზიდენტი გახლდათ ბატონი პაატა იოსებაშვილი), გულთა კავშირის მიწვევით ისრაელს

ეწვია მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე გამოჩე-ნილი პოეტი ბალათერ არაბული და მე. ამ ვიზიტზე თავს არ შე-განცენთ, მასზე პატარა წიგნი დავწერე და „პირმშო“ დავარქვი. ეს იყო დაუვინყარი ერთი კვირა და აი ახლა „გულთა კავშირის“ პრეზიდენტის პირადი მიწვევით მივემგზავრებით მაყვლა გონაშ-ვილი მეუღლითურთ და მე ნოდარ კობერიძე.

გამგზავრების დღეც, მოვიდა, მე კი ფიქრებმა წამილეს, წა-მილეს და ქართველთა და ეპრაელთა ცხოვრების სანახებში ჩავ-იხედე და გამახსენდა ჩემი წერილი, ქართველთა და ეპრაელთა ერზე როს დავწერე.


აი ისიც ეპრაელი ერი, ქართველი ერი და იერუსალიმში გაშ-ლილი დროშები!

ეპრაელი ერის, დამკვიდრებული სტერეოტიპი ამ ხალხისა, წამს ქრება, როგორც კი თუნდაც ზერელედ გადაავლებ თვალს მის ისტორიის, ეთნოგენეზის, მებრძოლ სულსა და შეუდრეკ-ელობას. ამ ხალხს უფალმა ზღვა გაუჟო და ათი მცნება ამცნო, რადგანაც მათში შეიცნო ნებელობის ძალა, რომელიც საუკუ-ნეებს გაუძლებდა და მის რჩეულ ქალაქს მასვე დაუბრუნებ-და და ასეც მოხდა. მათ წიაღში იშვა ორი მსოფლიო რელიგია: ქრისტიანობა და ისლამი, მაგრამ ამან წამითაც ვერ შეარყ-ია მათი რწმენა, რწმენა იმისა რომ ისინი იყვნენ მესიანიზმის მატარებელი ხალხი. ხოცავდნენ, ამცირებდნენ, ავინროებდნენ, ისინი კი მაინც შეხვედრას ერთი ფრაზით ამთავრებდნენ-მო-მავალ წელს იერუსალიმშიო და ასე გრძელდებოდა საუკუნეე-ბი, და ამ საუკუნეებში ვინმესთვის რომ გეთქვათ საბოლოოდ იერუსალიმს ეპრაელობა დაიბრუნებდა (მათ ხომ ამ ქალაქში ცხოვრებაც აკრძალული ჰქონდათ და მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჰქონდათ უფლება მისულიყვნენ გოდების კედელთან რათა ღმერთაან ესაუბრათ). არადა ვინ არ ფლობდა ამ ქალაქს - ეგვიპტელებიო, არაბებიო, ჯვაროსნებიო... გიორგი ბრწყინვა-ლეს დროს ხომ ქრისტიანთაგან მარტო ქართველებს ჰქონდათ უფლება ცხენზე ამხედრებული გაშლილი დროშებით შესული-

ყვნენ ამ წმინდა ქალაქში), მაგრამ გავიდა დრო და ექვსმა მიღინმა ებრაელმა შეაბიჯა კრემატორიუმში რათა მოეპოვებინათ მორალური უფლება, რომ ეს ქალაქი კვლავაც მათი გამხდარიყო. ექვსი მილიონი, ექვსი მილიონი სიცოცხლე გადაიხადეს მათ ამაში და აღტაცება და მუხლის მოდრეკა მათ წინაშე!

რატომ მოვყევი ეს ამბავი, რატომ და მინდა ქართველობას(რომლებზეც რუსებმა შექმნეს ერთი დამაკნინებელი სტერეოტიპი) კიდევ ერთხელ შევახსენო, გამარჯვება უმსხვერპლოდ არ მოდის და რაც უფრო დიდია გამარჯვების პრიზიუფრო დიდი იქნება მსხვერპლი და ჩვენ ცხრა აპრილის , აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულ გმირთა ქმედებების რევიზია კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ მათი სახელები ყოველდღიურად უნდა განვადიდოთ და ყველა ქართველისთვის სათაყვანებელი გავხადოთ, ჩვენ ყოველ წამს მზად უნდა ვიყოთ იმ დიდი მსხვერპლის გასაღებად, რომელიც ქართული სახელმწიფოს თვითდამკვიდრებისათვის კიდევ მოუწევს და თუ ჩვენ ამ განსაცდელს შინაგანად მზად, ერთიან პოლიტიკურ სუბსტანციად ჩამოყალიბებულ ერად არ შევხვდით, მაშინ სჯობია თეთრი დროშა ავაფრიალოთ (როგორც ამას გვირჩევენ კოლაბორაციონისტები), და არამარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო არამედ მთელი საქართველო ფინანსური გავეგოთ, ვიცეკვოთ, ვიმღეროთ და სამუდამოდ დავივინებით (სუფრის გარდა), რომ ოდესმე ერი ჩვენცა ვყოფილვართ და ირუსალიმს გაშლილი დროშებით ამაყად შევდიოდით! კრემლის “ჩორნი ხოდები” სიამოვნებით გაგვიჩახახებენ გზას. გინდათ ასეთი თუნდაც მაძღარი საქართველო, მე არ მინდა და ვისაც არ უნდა წინ უნდა ედოს მარად ებრაელი ხალხის გმირული მაგალითი, რომელიც შიშის ზარს სცემს მთელს ახლო აღმოსავლეთის ნავთობ დოლარებით გაზულუქებულ მილიონიან არმიებს!.

*ნოდარ კობერიძე*



ମୋହନ୍ତିର ପାତା  
ବ୍ୟାଙ୍ଗା ଲା କମନ୍ସଲ୍

ვფიქრობ სათქმელი ვთქვი,  
ახლა კი ისრელისკენ, ბენ გურიო-  
ნის სახელობის ტელ-ვივის აერო-  
პორტი გველოდება. თბილისში სა-  
საზღვრო ფორმალობები მალევე  
გავიარეთ და თვითფრინავში მიწვე-  
ვამდე ჩამოვჯექით. მე ისრაელიდან  
მასპინძლების გამოგზავნილი ათ  
დღეზე გათვლილ ღონისძიებათა  
გეგმას ვათვალიერებ, ფაქტიურად  
ერთი დიდი შემეცნებითი კრებულია  
და აი ისიც.

1.5.19. პარასკევი დახვედრა,  
18:00 სადილი მეგობართან ოჯახში.

1.6.19. შაბათი საუზმე. 8:00; მდინარე იორდანეზე; ჯვრის მონასტერი.

2.6.19. კვირა. 17:00 გამგზავრება აშდოდის მუნიციპალიტეტში, შემცირდა საზოგადოებასთან.

3.6.19. ორშაბათი 6:00 ექსკურსია იერუსალიმში, ქრისტიანული სიწმინდეები, + გოდების კედელი

4.6.19. სამშაბათი 12:00 საელჩოში, 18:00 ლია კრიხელთან (შეხვიდრა მკითხველთან);

5.6.19. ოთხშაბათი ადგილობრივად გადაწყდება;

6.6.19. სუთშაბათი 18:00 ალექსანდრე პელეგის კონცერტზე  
დასწრება.

7. 6. 19. პარასკევი. 17:00 რობერტ ადართან, შაბათის სუფრა

8.6.19. შაბათი 9:00 სთ, ქ. ლუდში, ნმ. გიორგის ეკლესია; 11:00 ქართული სკოლა,

9.6.19 კვირა 17:00 სთ სალამოს, მშობლიური საქართველო-

საკენჭ ჰერი, ჰერი .....

31.6.19. პარასკევს, 18:00 სთ, რამადგანში იშლება სუფრა, თამრიკო ბერიშვილთან, მეუღლე- ნოდარ მოშიაშვილი


## ლიგნი მასახა დეილი მინაზა

დღე პირველი - როგორთ ადართან (აჯიაშვილი)!

დილა უთენია მე მაყვალა გონაშვილი და მისი მეუღლე მერაბ კეზუა დავადექით ისრაელის გზას თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტიდან, ორ საათიანმა ფრენამ შესანიშნავად ჩაიარა და ბენ გურიონის აეროპორტში დავემცით. რაოდენი იყო ჩვენი გაოცება როცა საქართველოს მოქალაქებს (ასეთნი სულ ხუთნი ვიყავით) რომ პასპორტები ჩამოგვართვეს და ერთ პატარა ოთახში შეგვიყვანეს, ხუთ წუთსაც არ გაევლო და პასპორტთან ერთად ისრაელის სახელმწიფოში შემოსვლის საშვი მოგვართვეს და თავაზიანად დაგვემშვიდობნენ. რაღაც უკმარისობის გრძნობა მაინც ამყვა.ამხელა მგზავრებით გადაჭედილ თვითფრინავს საქართველოს სულ ხუთი მოქალაქე გადაჰყავდა. საერთოდ საქართველოს მოქალაქენი ერთგვარად გულმოკლული არიან ისრაელის მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ უტაქტო მოპყრობაზე და მართლაც თუკი უვიზო მიმოსვლას აცხადებ იქნებ თბილისშივე შექმნა რაიმე საკონტროლო პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს ვისი შეშვება შეიძლება და ვისი არა, ეს ღონისძიება აგვაცილებს იმ უხერხულ პრეცედენტებს, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ხორციელდება...

ჩვენ კი აეროპორტის მოსაცდელში გვიცდიდნენ იაკობ აჯიაშვილი, მერაბ მიხაელი, ნუგზარ ჯანაშვილი, მანანა დუმბაძე, და რათქმა უნდა რობერტ ადარი.





სასტუმრო

რომელსაც წველა წვრილმანი გაეთვალისწინებინა და როს მანქანას რემენი გაუფუჭდა სასწრაფოდ გადაგვსვა სხვა მანქანაში და თავის სახლისაკენ გაგვაქანა სადაც სუფრა უკვე გაშლილი გახლდათ. ძვირფასი სუფრა. სასტუმროში რატომ არ წაგიყვანათ ეს დაღლილი ხალხიო იკითხავს ვინმე, მთელს მსოფლიოში მიღებული წესი რომ 12 საათზე უნდა მიიღო სტუმარი აქ შეცვლილა და ან 11 საათზე გათავისუფლებული ნომერი მთელი სამი საათი მზადდება ახალი სტუმრის მისალებად რომელსაც ნომერი ლამის იდეალურ პირობებში ხვდება.

სადილის შემდეგ ბათიამში სასტუმ-

რო "არმონს" "მივაშურეთ. იქ გავიგეთ ამბავი რომ მეორე დღის წესრიგი მანქანის გაფუჭების გამო იცვლებოდა და მკვდარ ზღვაზე უახლოეს დღეებში თუ წავდიოდით. საღამოთი თამარ ბერიშვილის გამართულ სადილზე ვიყავით დაპატიჟებულნი სადაც მე ვერ წავედი დაღლილობამ ისე მომკვეთა ფეხები რომ ნაბიჯი

ვერ გადავდ-

გი და ბოდი-

შის მოხდის

შემდეგ გომ

ლოგინს მი-

ვაშურე.



ისრაელში შესავეგი საშვი



საჭილი პეტლების მონასტერში

## დღე მეორე ორგერტ ადართან

ჩემი პარტნიორები დილით 9 საათისათვის ძლივს გავალვიძე, ისინიც კმაყოფილნი და დაღლილები ჩამოვიდნენ სასტუმროს კაფეში სადაც სასტუმრო თავის სტუმრებს შვედური მაგიდით უმასპინძლდებოდა ყველაზე უფრო დაღლილობა მაყვალას ეტყობოდა, რომელიც არ იმჩნევდა.

**სურათზე:** აი ასე გამოიყურება ისრაელის სახელმწიფოში შესასვლელი საშვი. ეს კი ჩვენი სასტუმრო არმონია. საღამო ხანს რობერტმა მოგვაკითხა და რესტორან "დედაში" დაგვპატიჟა. სასიამოვნო სიტუაციაში ყოფნაშ გაგვახალისა. ლუდი დავლიე, მაგრამ მინდა გამოვყო ერთი შტრიხი რობერტ ადარის პორტრეტისათვის მითუმეტეს რომ ჩემთვისაც ნაცნობია ის ხედვა. დედაჩემი ჩემზე შვიდი თვის ფეხმძიმე იყო მამა ომში წაიყვანესო. იქიდან კი მხოლოდ ერთი წერილი....

შემდეგ კი გაუთავებელი მოლოდინი, მკვლელმა სევდამ დაისადგურა ჩვენს ოჯახში... ამას რომ ამბობდა ცრემლი გამეხერგა ყელში - მთელი სიცხადით შევიგრძენი რობერტი სადღაც

არაცნობიერში კვლავაც ელოდება მამას. კიდევ კარგი საკადრი-სი და დიდებული მეუღლე შეხვდა ქალბატონ დოდოს სახით, თუმცა ამ ქალბატონზე ცალკე ვისაუბრებთ.

დღეც ნელ-ნელა გაილია. სასტუმრომდე ფეხით მივედით და რომ მეგონა დავემშვიდობე და ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მატჩის საყურებლად გავემზადე, ნომრის კარებზე კაკუნი გაის-მა გავალე კარი და ზღრუბლთან რობერტი იდგა ხომ არაფერი გიჭირსო, ასეთი ყურადღება გულს მომეფონებოდა აბა რა....

და მეორე დღემ, რობერტ ადართან, მინორულ ნოტებზე ჩამოუშვა ფარდა. ლამე მშვიდობისა!....

\*\*\*

ჯერ ფრაგმენტი ბოლო ორი დღისა,  
ვიდრე დაწვრილებით  
მოგიყვებით იმ დაუვიწყარ ორ  
დღეზე

მით უმეტეს დღეს საქართ-  
ველოს საელჩოში არ მივდივართ  
("დესპანად") ქალბატონი მაყვალა  
გავუშვით") აშდოდში ასე თუ ისე  
დასვენებული ჩავედით რვანი ვი-  
ყავით - მათ შორის ორი ქალბატო-  
ნი: ქალბატონი მაყვალა და პოეტი  
ქალბატონი ეკა ქურხული, ხოლო  
ბატონმა აბრაჟამ პაატა იოსებ-  
მა (გულთა კავშირის თანადამ-  
ფუძნებელმა და მისმა პირველმა  
პრეზიდენტმა, ქალბატონი მანანა  
დუმბაძე თავად ჩამოიყვანა აგილო-  
ბრივებიც ბევრნი იყვნენ მათ შორის



ქ-ნ ლეილა ნოდია და მე შოთა რუსთაველის ფრესკასთან, ვეზებისაფყაოსნით ხელში



უდაპნოს ხომალდი

ჩემი სიყრმის მეგობარი რეზო ბოთერაშვილი, აშდოდის ვიცე მერი-ბატონი მოშე ბოთერაშვილი და ისრაელში მოღვაწე სხვა ქართველი ებრაელები! დრომ სიყვარულში ჩაინავარდა. საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით - ამაგდარისა და სხვა საპატიო დიპლომებით დაჯილდოვებულ იქნენ: ებრაელი-ქართველები. (იქნებ პირიქით უფრო სწორია, ჰა რას მეტყვით თანამეგობრებო) - სულ 13 კაცი, აი ისინიც: - 1. გერშონ ბენ ორენი 2. აბრამ სეფიაშვილი

3. ალექსანდრე პელეგი
4. მერი ამშიკაშვილი
5. იუზა მოშიაშვილი
6. ამირან კილაძე
7. ბენიამინ მირელი
8. ლუიზა მანაშეროვი
9. მარინა გელაშვილი
10. სულო სეფიაშვილი
11. მერაბ მიხაელი
12. იაკობ აჯიაშვილი
13. იზოლდა მოშიაშვილი

სპეციალური სიგელი გადაეცა საქართველოს საელჩოს წარმომადგენელს ქალბატონ მანანა დუმბაძეს. ჩვენც გადმოგვცეს სამახსოვრო ვიმპელები, სიყვარული დომინირებდა

ირგვლივ. დიდი მადლობა და მომავალ შეხვედრამდე! უზარმაზარი მადლობა ადგილობრივ სულიერ ლიდერებს-



ჩემი ციბის პირველი „მცირე“ არეზენტაცია ისრაელში

აბრაჰამ პაატა იოსებს, ნუგზარ ჯანაშვილს, შალვა წიწუაშვილს, მერაბ მიხაელს, გაერთიანება“ გულთა კავშირი“ს პრეზიდენტ რობერტ ადარს და რა თქმა უნდა აშდოდის ვიცე მერს ბატონ მოშე ბოთერაშვილს. შინ გვიან, მაგრამ კმაყოფილები დავპრუნდით სამი ივნისი განსაკუთრებული დღე იყო ამიტომ ფრაგმენტების- ფრაგმენტებად დავანაწილებ, მაშ დავიწყოთ! ისრაელის მიწაზე ელვის პრესლის პერსონისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას თუ შევხვდებოდი ნალდად არ მეგონა. მანამდე კი დილის ექვს საათზე სასტუმროსთან შევიკრიბეთ. ბატონი რობერტ ადარი, მერაბ მიხაელი, ნუგზარ ჯანაშვილი, ქალბატონ მაყვალას მეუღლე მერაბი და თქვენი მონა მორჩილი გზად სიურპრიზი გველოდა-მეთქი, ხომ გითხარით. სასაუზმედ შევჩერდით, როკენ-როლის მეფის ელვის პრესლის სახელობის მოსასვენებელ ეზოში. ამერიკაში არ ვიცი, მაგრამ ევროპაში ასეთი რამ არ მინახავს, აქ ყველაფერი ელვის პრესლით სუნთქავს - დიას ყველაფერი, ნანახის აღწერით არ დაგლოით. მხოლოდ ერთს ვიტყვი, სენდვიჩების პარკებს მხოლოდ ორ ენოვანი წარწერები აქვს-ქართული და ინგლისური, ამის დამნახველი კინაღამ შევხტი, პარკს სურათი გადავუღე და აგერ გამომაქვს თვენს სამსჯავროზე.



მონასტერი პეტლემში

ბეთლემი! აქ ყოველივე შუა საუკუნეებით სუნთქავს. აქ ოცდაათი ათასი ქრისტიანი ცხოვრობს. აქ ცოცხლდება ისტორია და ყოველივე ისტორიითაა გაფლენილი. აქ დრო გარდაცვლილა და გარდაცვლილი დროის და უფლის აჩრდილი დაიარება. აქ ისტორია გარეტიანებს და აქ სხვა განზომილებაში გადადიხარ. ბოლოს და ბოლოს აქ ხომ ქრისტე იშვა და მისი ჯადო თილისმა გატყვევებს და როგორი ათეისტიც არ უნდა იყო მუხლის მოდრეკვა გინდება. აქვე მონასტერში გვასადილეს, საოცარი ფსიქოლოგიური აურა ტრიალებდა ირგვლივ-საოცარი....

**ახლა კი უმთავრესი იღრუსალიმი და  
4 ივნისის ფრაგმენტებად დანაწევრებული  
დღე ამით დავასრულოთ. ი ე უ ს ა ლ ი მ ი !**




საჭირო ნუგზარ ჯანაშვილთან

ძალიან ცხელა იერუსალიმისკენ გავწიეთ, იერუსალიმი ქალაქი ღვთის მიერ შერჩეული. ქალაქი ანდამატივით რომ გიზიდავს, ქალაქი ღმერთის სადიდებლისა, ქალაქი მარადისობას ქმნიდა და ქმნილება ღვთისა! „თუ დაგივიწყო-იერუშალაიმ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა, ენა ჩემი მიეკრას სასას ჩემსას“-აქ მთელი სიცხადით შეიგრძნობ ამ გამოთქმის ჯადო თილისმას-მთელის სიცხადით. ტყუილად კი არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს განშორებისას ეპრაელები-„მომავალ წელს იერუშალაიმში“ და მართლაც ვიდრე არ იხილავ ამ დიად ქალაქს ყველაზე თვალუნვდენელი ფანტაზიაც კი ვერ წარმოსახავს ამ ქალაქის სიდიადეს! ეს ხომ სამი ფუნდამენტალური სარწმუნოების ქალაქია. მაცხოვრის საფლავთან უმრავი ხალხი ტრიალებს, მე კერ სურათი გადავიღე და მერე იქვე ქვაზე ჩამოვჯექი აქაც უამრავი ხალხი ისვენებს და ერთმანეთს ელოდება.



მიურაბა საძართველოს საელჩოში



## და პოლოს 5-ივნისის დასასრულის ფრაგმენტი-გოდების კედელი

გოდების კედელი შენი გულის მესაიდუმლე, შენი ფარული ოცნების გაზიარება და რწმენა იმისა რომ ღმერთი ჩვენთანაა.

ჩემო დაო და ჩემო ძმის ცოლო! ნანა გვეტაძევ, შენი თხოვნა შესრულებულია, შენი გამოტანებული ბარათი, ისეთივე დალუქულ მდგომარეობაში როგორიც გამატანე მივაპარე უფლის კედელს დეე აღსრულებულიყოს შენი ვედრება-ამინ! ჩემიც ჩავუთქვი და ამ ჩათქმას საქართველო ჰქვია. სასტუმროში ლასლასით ჩამოვედი. მაყვალას ვთხოვე სუპერ მარკეტში ერთი ბოთლი ლუდი აელო ჩემთვის. ფული ცოცხალი თავით არ გამომართვა. საწოლში დავლიე და უცბად გავითიშე!

6-ივნისს დილიდან დავად-ექით იმ გზას რომელსაც მდინარე იორდანესაკენ მიყვავართ.

ხუთნი ვართ-ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, მისი მეუღლე მერაბი, რობერტ ადარი, მერაბ მიხეილი და მე. ჩვენ ზუსტად იმ ადგილისაკენ მივდივართ სადაც იოანე ნათლისმცემელმა მონათლა მაცხოვარი. ზღვის დონედან 400 მეტრით დაბლა ვეშვებით, ირგვლივ უდაბნო თავისი სევდით გვატყვევებს. გზადაგზა აქლემები გვხვდებიან საოცარი საყურებელია ყოველივე და ჰა მდინარე იორდანე აქეთა ნაპირი ისრაელია, ხოლო იქეთა იორდანიაა საზღვარი



ელვის პრესლიც „მოგვესალმა“



იერუსალიმი-ფილიში,  
გვაუცხობს რომ რუსთავილის  
ძურაზი იმყოფები

და დაიზაფრები-არა რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა გამოვისყიდოთ ეს სავანე საქართველოსაი. ხელმარჯვნივ კი დიდი რუსთველის მასავით ნატანჯი ფრესკა გელოდებათ. სურათების თანმიმდევრულად შეცნობა არ გაგიჭირდებათ. ერთად ვიყავით მე, მაყვალა გონაშვილი მისი მეუღლე მერაბი, რობერტ ადარი და მერაბ მიხეილი და დიდი მადლობა მათ!

იერუსალიმში თამარის ხატს და რუსთველის ფრესკას რომ ვუყურებდი გალაკტიონის ეს ლექსი გამახსენდა:

„შეუნდე, შეუნდე ბნელ ცოდვილს,  
ლუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,  
ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს  
და ეხლა მძინარეს.

შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს ჩემს თვალებს,  
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დალალულს,

შუა გულში გადის. მაყვალა და მერაბი თეთრ პერანგებს იცვამენ და წყალში ჩადიან, მე პირის დაბანვას ვჯერდები საოცრებაა ყოველივე ჯვრის მონასტერი, ადგილი სადაც ყველა ქართველში აუნაზღაურებელი დანაკლისის შეგრძნება გეუფლება და ადგილი ვისკენაც ყველა მიიღტვის-შოთა რუსთაველთან სვლა ჰქვია მას.

ერთ სიცოცხლედ ლირს იერუსალიმში ჯვრისმონასტრისკენ მიმავალი აბრას თვალს რომ ჰყიდებ: "შოთა რუსთაველის" ქუჩა. სისხლი გიჩქროლდება და მართლაც რუსთაველის ნაკვალევზე მიმავალი შეხვალ თუ არა დიდი თამარის ხატს დაინახავ, დაინახავ

მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,  
და ველი სასწაულს.“

ვტოვებთ, ფლიგელს, სადაც რემონტი მიმდინარეობს და რეფრენად გულის ციების არითმიას გალაკტიონის სტროფებს ეზოში ყინულივით ცივი წყლით ვიგრილებ. საიდან ამ უდაბნოს მიერ მოხრაკულ, აქ, ამ არემიდამოში, ასეთი ცივი წყალი, თუ ეს ადგილი ღვთაებრივი ძალის მატარებელი არ არის?! პასუხი კითხვაშივე იბადება.

რუსთაველზე ფიქრებში ჩამეძინა. რობერტ ადარისგან, მერაბ მიხაელისგან, ნუგზარ ჯანაშვილისგან იმხელა ყურადღებას იმხელა პატივისცემას ვგრძნობთ, რომ გვერიდება კიდეც. დღის პირველი ნახევარი საწოლში გადაღლილი ვიწექი მერე რობერტ ადარმა მომაკითხა და მე, მაყვალა და მერაბი ნუგზარ ჯანაშვილის ძმის წლისთავზე წაგვიყვანა. არაჩვეულებრივად მიგვიღეს მადლობა მათ. საერთოდ ყოველთვის მაინტერესებდა თუ როგორი რიტუალი სრულდება. ჩვენ რომ წლისთავს ვეძახით, ამას ებრაელნი 11-თვის გასვლას ეძახიან. სუფრა როგორც ჩვენში უხვადა „მორწყული“ წაირნაირი ნუგბარებით, მას ადგ-



დაღლილი მაცხოვრის საფლავის ქასთან სხვაგთან ერთად  
ჩამოვაჲებით, რომელიც იქვე შესასვლელთან ახევია



თბილისი. სასტუმრო საქართველოში:  
როგორც ადარი, ირინა გიგილეიშვილი,  
თემურ დავითაია, ნოდარ კოგარიძე,  
გალათერ არაპული

განა ძმობაში გვარჩევს?!

მერე ქართველმა ემიგრანტებმა კომპოზიტორ ალექსანდრე პელეგის და გამორჩეულმა მომღერალმა იუზა მოშიაშვილმა მათ მიერ მოწყობილ კარაოკეზე დაგვპატიუქეს და საღამოც ასე ტკბილად გასრულდა - კომპოზიტორ ალექსანდრე პელეგის მოწყობილი კარაოკეთი სადაც ქართული სიმღერების ერთგვარი ფესტივალი გაიმართა. ეს იყო ტკბილი ნოსტალგიური საღამო, კარაოკე რომელმაც სამ საათზე მეტხანს გასტანა თერთმეტის ნახევარზე დამთავრდა საიდანაც მე, მანანა დუმბაძე, მაყვალა და მერაბი დაგვარიგა. დიდი მადლობა ბატონ ალექსანდრეს დიდი მადლობა. ეს იყო მშვენიერი ქართული სამყაროს აღტაცება ისრაელში! მე და ბატონმა ალექსანდრემ წიგნებიც კი „გავცვალეთ“!

მეორე დიღლა განსაკუთრებული გახლდათ. ჯერ ნანა დვირის სასაფლაოსკენ გავწიეთ -მე, რობერტი, მაყვალა, მერაბი და იუზა წუთიერ დუმილს ვიცავთ და პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას მერე იქიდან ჯემალ აჯიაშვილის საფლავსაც მივაკითხეთ, ეჭ როგორი ნიჭიერება დაკარგა საქართველომ და ისრაელში ამოსულმა ქართველმა ებრაელობამ - აქვე მახსენდება ადრესი რომელიც რობერტ ადარმა, აბრაჰამ პაატა იოსებმა და წუგზარ

ილობრივი რაბინი წარმართავს და ეს ყველაფერი ქართულ ენაზე მიმდინარეობს. თავი ს აქართველოში ვინმე ახლობლის მოსაგონარში მგონია. თუმცადა განა მასე არ არის, ნუგარ ჯანაშვილი, ეს ბრწყინვალე ეს-სეისტი, მწერალი,



დალარ აშდონის ვიცე-მერი  
გომა გოთერაზვილი  
მაჯილდოვებას



სამადლოგელი სიტყვა

ჯანაშვილმა 2019 წლის 12 იანვარს მიუძღვნეს მის ხსოვნას და აი ისიც:

### 12 იანვარი

"მესაფლავე შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ ნუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?..."

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

არა! არ გვავიწყდება! ჩვენი სიამაყე, დიდი ხელოვანი, ჩვენი ნანა!

არ გვავიწყდება მასთან გატარებული არც ერთი წუთი, რომელიც საუკუნეებშია გადასული-უკუნითი უკუნისამდის ამინ!

12 იანვარს მისი დაბადების დღეა! არ გვავიწყდება!

ვულოცავთ! 70 ის გახდა!

მწერალი და პუბლიცისტი ნუ გზარ ჯანაშვილი:

"ჩვენ დავკარგეთ დაუდგრომელი სულის, დიდი ისრაელი ქალი, ივდითის სიდიდის ქალი" ... ნუგზარი, ჩემი მეგობარი და თანამოაზრეა, მაგრამ მაინც უნდა შევეკამათო ჩვენს სახელოვან მწერალს. არა ნუგზარ, არ დაგვიკარგავს ჩვენი ნანა! იგი უბრალოდ წავიდა, ამაღლდა, ციურ სხეულებს შეუერთდა და იქ, უკვდავებაში იხდის, თავის

საიუბილეო 70

წლისთავს!

წავიდა და  
თან წაიღო ჩვენი  
სითბო, სიყვარუ-  
ლი და დაგვიტოვა  
თანაცხოვრების  
წარსულ დღე-  
თა მოგონებები,  
გულისტკივილი  
და შეუხორცე-  
ბელი გულის ღია  
ჭრილობა!

სიცოცხლე  
უტკბილესია!

ნებისმიერ ასაკში სწყურია იგი ადამიანის შვილს, მაგრამ  
კანონზომიერება მოქმედებს, მძლავრობს, ბობოქრობს და იგი  
დამკვიდრებულია ადამიანთა დაუსრულებელ მოდგმაში. ესაა  
ის, რომ ამ ქვეყანას ვინც კი მოევლინება, არავინ არ რჩება, ყვე-  
ლა მიდის!

" შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა" ასე-  
თია ამ კანონზომიერების სისასტიკის-უსასტიკესობა!

სახელგანთქმული მეცნიერები, ისეთები, როგორებიც იყვ-  
ნენ პავლოვი, მეჩინიკოვი, დარვინი და სხვა ცნობილი ფიზი-  
ოლოგები, ადამიანის სიკვდილს 150 წელიწადზე ადრე, ბუნების  
ძალადობად მიიჩნევდნენ და ეს, ასეც არის!

მძიმე დანაკლისი განიცადა არამარტო შვილებმა, შვილიშ-  
ვილებმა, მისმა დიდმა ოჯახმა და ახლობლებმა, არამედ მთელ-  
მა ჩვენმა თემმა, მეგობრების უზარმაზარმა არმიამ, როგორც  
ჩვენს ქვეყანაში, ასევე მშობლიურ საქართველოში, რომელიც  
მას ასე უზომოდ უყვარდა, უყვარდა ეს ქვეყანა და ეს ხალხი,



ნანა ფვილის საფლავთან

ქვეყანა სადაც  
დაიბადა მისი  
სიცოცხლე, სად-  
აც დაირნა მისი  
აკვანი, სადაც  
ჰყავდა უამრავი  
მეგობარი, სადაც  
ეზიარა იგი დიდ  
ხელოვნებას და  
მიანიჭა აზრი მის  
სიცოცხლეს!

### არაფერი არ გვავინყდება!

ჩვენი თემის სიამაყეს, დიდ ხელოვანს, პოეტს, მსახიობს,  
საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრს, ანა კა-  
ლანდაძის პრემიის ლაურეატს, პირველ დესპანს ისრაელში  
კულტურის საკითხებში, ღმერთისაგან ყოველმხრივი ინტელე-  
ქტუალური ნიჭით დაჯილდოებულ ჩვენ საყვარელ ერთგულ  
მეგობარს, გაერთიანება „გულთა კავშირის“ ერთ ერთ დამ-  
ფუძნებელს, რომლის უმთავრესი პროფესია „ადამიანობა“ იყო,



პატივი მივაგეთ პეტალ აჯიაშვილის საფლავს



აძებან იწყობა ზღვის დონის ვარდნა სამასი მეტრით რაც მდინარე იორდანისთვის მიგვიყვანს იქ სადაც ძრისჭე მოინათლა

დღეს 12.01.2019 წ. 70 წ ე ლ ი შ ე უ ს რ უ ლ დ ა, უკვდავი იყოს მისი სახელი აწ და მარადის!

**არაფერი არ გვავინყდება!**

ნანა დავარმა სამუდამოდ დაიდო ბინა ჩვენს გულებში, როგორც საჭადრაკო დაფაზე დაუმარცხებელმა დედოფალმა!

**არაფერი არ გვავინყდება!**

იგი ისევ ჩვენს შორის მოძრაობს, ჩვენს შორის შრომობს, ტრიალებს თავისი პრეცინვალე შემოქმედებით, პოეზიით, თავისი წარსული ცხოვრებით, ტკივილებითა და სიხარულით სავსე.

**არაფერი არ გვავინყდება!**

თაობიდან თაობას გადაეცემა მისი სახელი - ნანა დავარი (შაბათაშვილი), მისი ცხოვრება და შემოქმედება, როგორც წმინდა მანდილი, როგორც პრეცინვალე ძეგლი პატრიოტიზმისა, დანთებული წმინდა სანთელი სულისკვეთებისა და სიყვარულისა, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა 26 საუკუნოვან მოზაიკაში.

მესაფლავე, შენ თუ ისევ ასე ფიქრობ, მე, არ მჯერავს კარგო რა ვქნა!



მაყვალა და მისი მეულე  
მერაპი გასაპანად  
გაემზავრნენ



რობერტთან ერთად  
მდინარე იორდანიზე

არა, ჩვენ ვერ დავივიწყებთ,  
ქვეყნად კაცმა, კარგი თუ ქმნა?!  
ხულონი, ისრაელი  
რობერტ ადარი,  
12.01.2019

გაიმართა „გულთა კავშირის“  
მორიგი სხდომა, ამ სხდომის ოქმს  
გთავაზობთ მისი ღალადისი ყვე-  
ლამ, დიახ ყველამ უნდა წაიკითხოს  
და გაითავისოს რადგანაც იგია  
ადამიანურობაზე შეყვარებულ კა-  
ცთა ხსენება.

გაერთიანება „გულთა კავ-  
შირმა“ დღეს 5.7.19 -ში პარასკევის,  
ხულონში ჩაატარა დაგეგმილი სხ-  
დომა რომელსაც ესწრებოდნენ  
დამფუძნებლები:


პროფ. შალვა წიწუაშვილი;  
მწერალი და პუბლიცისტი  
საქ. მწ. კავშირის წევრი, ბ- ნი  
ნუგზარ ჯანაშვილი;  
არქიტექტორი პაატა იოსები;  
საქ. მწ. კავშირის წევრი, პოეტი  
რობერტ ადარი და კოორდინატორი  
იზოლდა მოშიაშვილი.

სხდომაზე განიხილებოდა სხვა  
და სხვა საკითხები, მოსაზრებები,  
სამომავლო გეგმები.

პროფ. შალვა წიწუაშვილის  
წიგნის „ებრაული სიბრძნის წყა-

როს," 582 გვერდიანი წიგნის ვადაზე საშემოდგომოდ მისი გა-  
მოცემა!

სხდომამ, გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.  
გაერთიანება "გულთა კავშირის" პრეზიდენტი, რობერტ ადარი.



შვეიცარიაში მყოფი ემიგრაციიდან  
ეთერ ზაქარიაძის ნახატი

## განვითარა

რობერტი თან განიცდის, თან გვიფრთხილდება, ძლიერი სიცხეაო და ამ საღამომ ამ სამი წლის წინანდელი წერილი გახსენდება და როგორ მიხარია რომ არ შევმცდარვარ მაშინ. აი, ისიც: რობერტ ადარს (აჯიაშვილი)! ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პოეტსა, შემოქმედსა და დიდებულ პიროვნებას!

ლია წერილი მეგობრისგან

ჩემო რობერტ კვირაც არ არის გასული რაც ოცდაათწლიანი "შესვენების" შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ კვირა ისე გაიპარა ვითარცა წყარო და ახლა გამიჩნდა შეგრძნება, რომ გული ვერ ვიჯერე შენის მოფერებით! დავყურებ სურათს სადაც შენ და მე ვართ და გულს მონატრება იპყრობს. მერე დისკაც ვდებ, დისკს, რომელსაც აწერია ნატოს (ბატონო რობერტის ქალიშვილი) ქორწილი და ჩემს თვალწინ ცოცხლდება სპექტაკლი დადგმული თბილისის გარეუბან თელეთში-ნატოს ქორწილის სახით. ვუყურებ ნაცნობ და ასე საყვარელ სახეებს, რომელთა ერთმა ნანილმა სამუდამოდ დაგვტოვა და მბურდგლავს, ხორკლი მაყრის ნოსტალგიის ხორკლი...გურამ ფანჯიკიძე, ამირან კალაძე, აბრამ სეფიაშვილი, ეფრაიმ გური, პაატა ნაცვლიშვილი, ლამარა თელია, ხაიმ ხუბელაშვილი, ბესო მიხელაშვილი და სხვანი და სხვანი ცოცხლდებიან ეკრანზე, ვიმეორებ - მათგან ზოგიერთნი



ნინო გიორგის საფლავთან  
ცოდარ კოგერიძე



სასტუროში ვსაუზობთ

წასულნი არიან სამუდამო განსასვენებელში, მაგრამ აქ ერთად იმ პანოს ჰქმნიან ქართველთა და ებრაელთა ძმობის დასტური როს ჰქვია. კომპიუტერში ვდებ მეორე დისკს და აქ ფრთო ასპარეზით იშლება შენი დიდი ღვანწლი, ჩვენი ერების საუნჯის-ერთმანეთის სიყვარული რომ ჰქვია განუმეორებელ საქმეში. აქ იშლება, ვითარც ყვავილნარი შენი დიდებული პიროვნული პორტრეტისა. ვუყურებ მათ თვალზე ცრემლ მომდგარი და გეუბნები ჩემო საამაყო კაცო-გფარავდეს უფალი, იბედნიერე და აროდეს დაშრეტილიყო ის შენი შემოქმედებითი ენერგიის ჩანჩქერი, სიყვარულის ენერგიას (ვითარცა ნათელი შუქისა), როს წარმოშობს. ეს გამოჩნდა იმ შენს ლექსებშიც, „ებრაული პოეზიის ანთოლოგიაში“, რომაა შეტანილი და რომლის პრეზენტაცია სულ ახლახანს გაიმართა თბილისში „ებრაელთა ისტორიის მუზეუმში“ და შემდგომ ტრიუმფალური სვლით იარა საქართველოში!

ჩემო მეგობარო, რობერტ-ვატყობ სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ დამშვიდობებისას რომ არ გითხრა ვით შემიძლია-სწორე-დაც რომ შენისთანა კაცებზე დგას სამყარო, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს ძმობაზე. აბა გამარჯვებით-მომავალ შეხვედრამდე ლეხაიმ!

ნოდარ კობე-  
რიძე-ილია ჭავჭა-  
ვაძის, ნიკო ნიკო-  
ლაძის, ნიკო  
ლორთქიფანიძის  
პრემიათა ლაურე-  
ატი და შენი ძმა!

გაოცებულია,  
ეს კაცი რატომ  
მიყურებს ასე და-  
ჟინებით.



ძართულ ენაზე წერილება  
„სენდვიჩმა“ სასიამოვნოდ გაგვაოცა

თბილისში დაბრუნებულმა დელეგაციამ სამადლობელო  
ადრესი გაუგზავნა ისრაელ მეგობრებს, მაგრამ რაა იმ ენით  
გამოუთქმელ სიყვარულთან, მოფერებასთან რაც გულთა კავ-  
შირის ოაზისიდან გადმოდინდების.



იუზა მოშიაშვილი  
გალათერ არაპული და ნოდარ კობერიძე

გაერთიანება "გულ-  
თა კავშირის" პრეზი-  
დენტს ბატონ რობერტ  
ადარს და მის გუნდს!  
ძვირფასო მეგობრები:  
სიტყვათა კონა არ მოი-  
ძებნება რათა გამოვხ-  
ატოთ ჩვენი სამადლო-  
ბელო იმ ფანტასტიკურ  
შეხვედრაზე, რომელ-  
იც ამ ათ დღეში იქნა  
მოწყობილი, ეს იყო ნამ-  
დვილი ფიქსტა, მაგრამ  
ფიქსტა რომელიც გა-  
მოიხატებოდა, როგორც  
შემეცნებით ასევე სტუ-

მარ-მასპინძლობის უმა-  
ღლესი რანგის და კლასის  
ჩვენებით. ამას ვგრძნობ-  
დით ურთიერთობის ყოვ-  
ელ წამს, მაგრამ ისე ვი-  
ყავით მონუსხული თქვენი  
მასპინძლობით, ტაქტით  
და თავაზიანობით, რომ  
გვამუნჯებდა ყოველივე.  
ახლა კი სამშობლოში დაბ-  
რუნებულნი ქედ მოხრილ-  
ნი გეუბნებით-უღრმესი  
მადლობა ამ მართლაცდა  
წმინდა მიწის საკადრისი  
მასპინძლობისათვის—

დიდი და უღრმესი მადლობა!. ახლა გელოდებით თბილისს,  
გელოდებით!

მაყვალა გონაშვილი, მერაბ კეზუა, ნოდარ კობერიძე.

თბილისი 12 ივნისი!

ფინიშის დაღმართ-აღმართზე

რობერტის პიროვნების უკეთ შესავსებად მის ორიოდე ინ-  
ტერვიუს და ქალბატონ ირინა ბიბილეიშვილის ძალზედ მოხდე-  
ნილ სიტყვას გთვაზობთ, ამ რუბრიკას „ვინ ხარ შენ რობერტ  
აჯიაშვილი“ ვუწოდებ, და იგი დაიწყება ირინა ბიბილეიშვილის  
დიდებული წერილით „რა მოხდა საქართველოს მწერალთა კავ-  
შირში“ და დასრულდება ჩემი ფსიქოლოგიური ეპილოგით“!



ცემაზარ ჯანაშვილის ძაღლის ცლისთავზე

## რა მოხდა საქართველოს მცირალთა კავშირში

ღვინობისთვეში თბილისი არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს ხოლმე. ამ დროს განსაკუთრებულად ლამაზია დედაქალაქი, ხვავრიელი შემოდგომის ფერები და სურნელი სჭარბობს გარეშემო, განსაკუთრებულად ძველ თბილისში, სადაც ტურისტებს გამორჩეულად უყვართ სეირნობა. 6 ოქტომბერს, საქართველოს მნერალთა სახლში ქართული სიტყვის ოსტატების ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო, ლიტერატორთა აკვანი „საქართველოს ეპრაელთა პოეზიის ანთოლოგიას“ მასპინძლობდა. ამ ფუნდამენტურ სამაგიდო წიგნში შესულ პოეტთაგან დედაქალაქში ჩამოსვლა მხოლოდ ბატონმა რობერტ ადარმა (აჯიაშვილმა) შესძლო.



აშშონი შეხვეძრა ჩვენებურებთან

ბატონი რობერტი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, გალ-აკტიონ ტაბიძის ქუჩაზე განვლო მისმა საუკეთესო წლებმა. უბანში „რობას“ მეტსახელით იცნობდნენ. დედაქალაქთან მისი ყოველი შეხვედრა მონატრებულ მოხუც დედასთან მიახლებას უფრო წააგავს ხოლმე, ვიდრე სტუმრად ჩამოსვლას, აი ისე, ქალაქში სასწავლებლად წასული სტუდენტი წელინადში მხოლოდ ერთხელ რომ ჩადის სოფლად და უსაშელოდ ენატრება მშობელი დედა, კარგა ხნით ადრე რომ ემზადება მასთან შესახვედრად, მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულია უკვე, დედასთან ჩახუტებისას მაინც მოზარდივით ღელავს და მაჯისცემა უჩქარდება (როგორც თავად აღნიშნავს ხოლმე სიმართლენარევი იუმორით). „როგორ შევეყრები მე ჩემს სამშობლოს და როგორ შემეყრება იგი მე“ (ილია) – და ასე ყოველთვის, ყოველ ჩამოსვლაზე. რამდენი სტრიქონი დაუწერია მშობლიური ქალაქის მონატრებით, რამდენი ჩაუწერია უბის წიგნაკში და მერე დაუხევია, ვერ მოვეფერეო სათანადო ჩემს ქალაქს. და მაინც, აპა არაერთი მათგანი, სულ ბოლო, რობერტ ადარისა და თბილისის სიყვარულის ეპოქეიდან, რომელიც სპეციალურად ამ ვიზიტ-ისთვის შეთხზა „დედა-ქალაქისკენ“ მომავალმა:

ჩემი თბილისი და ნარიყალა, მუდამ მათრობდა,  
იერუსალიმი, ბეითჰამიკდაში ვის არ გადარევს,  
მაშ, გაუმარჯოს ქართველებო, ჩემს მეგობრობას,  
26 საუკუნე სიყვარულით და გულით ნატარებს!  
დიდებულო, ტანწერნეტავ, ლამაზო მხარევ,  
სიღიადე შენი ბრწყინავს, როგორც ალმასი,  
გამრიყე იქეთ, მტკვრის ნაპირას დამბერე, ქარო,  
სადაც მეგულვის ჩემი ხალხი, მხნე და ლამაზი!  
ოხ, სიცოცხლეო, ხანმოკლეო, ხარ ულმობელი,  
ოი, ეს წლებიც გამეპარა, როგორ გავიდა,  
ჩემი თბილისი ისე მიყვარს, მერწმუნეთ ხალხო,  
მივემგზავრები, სიყვარულის ძეგლი მსურს, რომ დავუდგა!!! 27.09.2017

საზოგადოება ნელ-ნელა გროვდებოდა მწერალთა სახლის საკონფერენციო დარბაზში, განახლებული სიძველის ელფერი კიდევ უფრო მეტ დიდებულებას ჰმატებდა გარემოს. ქართული ლიტერატურული ელიტის საუკეთესო წარმომადგენლები გულთბილად ესალმებოდნენ ისრაელიდან ჩამოსულ კოლეგასა და მონატრებულ სიყრმის მეგობარს, იყო დიდი მოკითხვისა და მოფერების ძალზე ემოციური და უსაშველოდ სასიამოვნოდ

საყურებელი წუთები, ვიდექი იქვე მდუმარედ და გაძალებით ვებრძოდი ყელში მომდგარ ცრემლის ბურთს, განცდებისაგან გულს რომ მიჩერებდა ლამის. უყვარდათ ქართველ და ებრაელ მეგობრებს ერთმანეთი და საშინლად ენატრებოდათ – პოეტურად, ამაღლებულად, კულტურულად, მაგრამ მაინც ყოვლისმომცველად.

შეხვედრა დათქმულ დროს დაიწყო. ღონისძიებას მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი ბალათერ არაბული და თანათავმჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი ხელმძღვალობდნენ. ამ



მდინარე იორდაზე



როგორც და მაყვალა გონიერი

დღეს უნდა გამუდავნებულიყო გამგეობის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება: ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ისრაელში მცხოვრები პოეტები და საზოგადო მოღვაწენი – შალვა წინუაშვილი (ისტ. მეცნ. დოქტორი მწერალთა კავშირის განსაკუთრებული ჯილდოებით და მიენიჭოთ: რობერტ ადარ-



დავით აღმაშენებლის  
აკადემიაში როგორც სააათიო  
პროცესორად იჩჩევონ



ნავოხემსეთ

სა (აჯიაშვილს) და ნუგზარ ჯანაშვილს ისრაელში „ქართული კულტურის დესპანის“, ხოლო პროფესორ შალვა წიწუაშვილს – „ქართული კულტურის ამაგდარი“-ს წოდებები. ამასთან, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმებმა ბატონები რობერტ, ადარი, და ნუგზარ ჯანაშვილი! ერთხმად მიიღო თავის რიგებში, და მიანიჭა მათ „საპატიო წევრის“ სტატუსი.

ეს ყოველივე გახლდათ დასტური იმ უდიდესი ღვაწლის დაფასებისა, რასაც ქართული ლამაზი სიტყვისა და კულტურის სამსახური ქვია და რასაც წმინდა მინაზე მცხოვრები სამივე საზოგადო მოღვაწე ათწლეულების მანძილზე სიყვარულით აკეთებდა და აკეთებს დღესაც, უანგაროდ, მონატრებით, თავ-დადებით.

ღონისძიება ბატონმა ბაღათერ არაბულმა გახსნა, იგი მიესალმა დამსწრეთ, მადლობა გადაუხადა ისრაელის სრულუფლებიან ელჩს შაბთაი ცურს მობრძანებისათვის და შესავალ სიტყვაში ისაუბრა ისრაელში გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომის, „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიის“



განუყრელი მეგობრები  
ნუგარი და რობერტი

ლიტერატურული და  
ისტორიული მნიშ-  
ვნელობის შესახებ.  
სიტყვის დასასრულ,  
მწერალთა კავშირის  
თავმჯდომარემ დამს-  
წრე საზოგადოებას-  
თან ერთად წუთიერი  
დუმილით პატივი მია-  
გო წიგნში შესულ 22  
პოეტის ხსოვნას, რო-  
მელნიც დღეს აღარ  
არიან ცოცხალთა  
შორის და ვერ ინაწ-

ილებენ იმ სიხარულს, რასაც ქართული კულტურული და აკადე-  
მიური საზოგადოების მიერ ამ ნაშრომის საყოველთაო აღიარე-  
ბა ქვია. მან კიდევ ერთხელ ხმამაღლა გააჟღერა მათი უკვდავი  
სახელები.

პირველი მისასალმებელი სიტყვა ისრაელის სრულუფლები-  
ანმა ელჩიმა, ბატონმა შაბთაი ცურმა წარმოსთქვა. მან დიდი  
მადლობა გადაუხადა მწერალთა კავშირს ებრაელი კოლეგების  
ესოდენ ღირსეული დაფასებისათვის, მეტადრე წელს, როდესაც  
საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერ-  
თობების 25-ე საიუბილეო წელი შესრულდა:

„საქართველოსა და ისრაელს შორის კულტურულ ურთ-  
ერთობებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან კულ-  
ტურის სფერო ყველაზე ახლოს აცნობს ხალხებს მათ სულიერ  
მემკვიდრეობას, ტრადიციებს და ეროვნულ ხასიათს. „საქართ-  
ველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“, რომელიც დ. ბააზო-  
ვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ  
ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის მხარდაჭერით გამოიცა,  
უნიკალური წიგნია ამიტომ, მე მსურს მადლობა გადავუხადო

ბატონებს – გივი ღამბაშიძესა და შალვა წიწუაშვილს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ წიგნის გამოცემაში. ეს დიდი შრომა და ღვაწლი სათანადოდ დაფასდა ქართული საზოგადოების მიერ, რასაც მწერალთა კავშირში, ამ ისტორიულ შენობაში დღეს გამართული პრეზენტაციაც მონმობს. ..კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობების გაღრმავებაში, ვისარგებლებ



აშშოდი სადაც მერიაში ჩვენი შეხვეძლა გაიმართა!

შემთხვევით და ბატონ რობერტ ადარს პირადად ვულოცავ მწერალთა კავშირის საპატიო წევრობასა და ქართული კულტურის საპატიო დესპანის ესოდენ მაღალ წოდებას“.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლილენ ცნობილი სახეები, ყველა მათგანს განზრახული ჰქონდა განსაკუთრებულად მოფერებოდა ბატონ რობერტს და ექცია ეს დღე ქართულ-ებრაული მეგობრობის კიდევ ერთ აღლუმად. სიტყვა ბატონმა ჯამლეტ ხუხაშვილმა წარმოსთქვა და გაიხსენა რობერტ ადარის სპორტული ჯილდოები: საქართველოს ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი ერთეულთა და წყვილთა შეხვედრებში; სსრკ პირველობის ნახევარ

ფინალისტი; „ეს მაშინ დიდი მიღწევა იყო სპორტსმენისთვის“ – დასძინა მან, როდესაც ბ-ნი რობერტის ჩემპიონის ტიტული გაიხსენა საკავშირო სპარტაკიადაზე, მე და კოტე მახარაძე ვითხოვდით მის განსაკუთრებულ დაჯილდოვებას და ამას ახლა, მოგვიანებით დიდი სიხარულით ვაკეთებ, განაცხადა მან, როდესაც ვეტერანი სპორტსმენი სპეციალური მედლით დააჯილდოვა ქართული სპორტისადმი მისი დამსახურებებისათვის.

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, ბ-ნმა დავით შემოქმედელმა თავის სიტყვაში გაახმოვანა ამავე საზოგადოების პრემიების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება: ქართულ-ებრაულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისათვის რობერტ ადარი (აჯიაშვილი) დაჯილდოვდეს რუსთაველის საზოგადოების საპატიო სიგელით. ჯილდოვ გადასცა ამავე საზოგადოების ქართულ-ებრაული ურთიერთობების ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ლეილა ნოდიამ.

ბატონ რობერტ ადარს მიესალმნენ: გურამ ოდიშარია (პრემიერ მინისტრის მრჩეველი კულტურის სფეროში), ვაჟა აზარაშვილი (კომპოზიტორი და ყველასათვის საყვარელი მაესტრო), ქ-ნი ზაირა დავარაშვილი (კლუბ „26 საუკუნე“-ს ხელმძღვანელი), გივი შახნაზარი (ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე) და სხვები. გარდა მილოცვისა, თითოეული მათგანი თავის სიტყვაში აღნიშნავდა ორი მეგობარი ერის ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმატს და ხაზს უსვამდა კულ-



ჯამლები და რობერტი  
ორი ერის სააგაყო შვილები

ტურის დარგში მოღვაწეთა როლის მნიშვნელობას ერთა შორის დიალოგის გაგრძელებაში.

ლონისძიების მიწურულს რამდენიმე ადამიანთან გასაუბრება გადავწყვიტე.

ბალათერ არაბული: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკარი“-ს მთ. რედაქტორის მოადგილე, გალაკტიონ ტაბიძისა და დავით ალმაშენებლის პრემიების ლაურეატი – დღეს მნიშვნელოვანი დღე არის მწერალთა კავშირისა და თბილისის კულტურული ცხოვრებისთვის. ამ დღეს 3 ღირსეული ებრაელი კოლეგა სათანადოდ დაგაფასეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ყველასათვის საყვარელი პოეტის, ნუგზარ ჯანაშვილის მამა წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. გორში. ის იყო ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, შესანიშნავი პოეტი და მოღვაწე. სამწუხაროდ, ის სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან და რაოდენ სასიხარულოა, რომ მისი შვილი, თავადაც შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი ასე ნიჭიერად აგრძელებს მამამისის გზას და ქართულ პოეზიას, ქა-



როგორც ამ ორ დიდებულ ერებს სრვევიათ — ნადიმი

რთულ სიტყვას და ქართულ კულტურას ემსახურება ისრაელში მემკვიდრეობით მიღებული სიყვარულით. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ ბევრი რამ გაითვალისწინა, განიხილა სამივე კანდიდატის ლიტერატურულ-კულტურული ღვაწლი და სამდივნომ ერთხმად გადაწყვიტა ის აღიარებები, რისი გახმოვანების მონაწილენიც დღეს ამ ისტორიულ დარბაზში ყველანი ერთად შევიქმენით. მინდა განსაკუთრებული პატივისცემით მივულოცო ბ-ნ შალვა წინუაშვილს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას. „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“ საუკუნის ნაშრომია და მისი გამოცემა პირადად მისი დიდი დამსახურებაა, ამ პროექტს ბატონები შალვა და პროფ. გივი ლამბაშიძე ედგა სათავეში. ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ წიგნში წარმოდგენილია 65-მდე ქართველი ებრაელი პოეტი, რომელთა ფიქრი და საზრუნავი ორივე ქვეყანა, ისრაელი და საქართველოა.



საქართველოს ეპრაელთა და ქართულ-ეპრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი. წიგნის „საქართველოს ეპრაელთა პოეზიის ანთოლოგია“ — პრეზენტაციაზე.

**ლეილა ცოდია – დამსახურებული ქურნალისტი,  
სრულიად საქართველოს რუსთაველის  
საზოგადოების ქართულ-ებრაულ  
ურთიერთობათა ხელმძღვანელი:**



ქ-ები: დოდო ადარი, ეთერ არაბული და  
მაყვალა გონაშვილი

ბატონი რობერტ  
ადარის ამ უსაზღვრო  
სიხარულით მეც ვხარობ.  
ის ჩემი დიდი ხნის მეგო-  
ბარია. მეც ვიცი და ბევ-  
რიც გამიგია, როგორი  
გულკეთილი, მოყვასის  
თანამდგომი, მეგობრუ-  
ლი, თავის ისრაელზე  
და საქართველოზე, თა-  
ვის თემზე და ქართველ  
ხალხზე თანაბრად შეე-  
ვარებული ადამიანია.  
არც არის გასაკვირი,  
რომ ეს უსაზღვრო სიყ-  
ვარული და მეგობრობა,  
წლების განმავლობაში  
დაგროვილი, ლექსე-  
ბად ამოთქმულიყო. მისი  
გულიანი ლექსების სტრიქონებს შორის კი მისი პიროვნებაც  
კარგად იკითხება ბედნიერი ვარ, რომ ეს დღეები მის გვერდით  
გავატარე. მართლაც, დიდი პატივია საქართველოს მწერალთა  
კავშირის საპატიო წევრობაც და კულტურის დესპანობაც და  
კიდევ სხვადასხვა ჯილდოები, სრულიად საქართველოს რუს-  
თაველის საზოგადოებისგან, მაქს შავიტის სტუდიისაგან, ისრაე-  
ლის საელჩოსგან.. ბატონმა რობერტმა მორიდებით, მოწინებით  
მიიღო მისი საპატიო ალიარებები, საჩუქრები, მაგრამ სულ



სტუმრად რობერტ ადარის ოკაზი

მორიდებით, კრძალვით იმეორებდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ მისი დაფასება, ეს იყო საქართველოდან ისრაელში ასული ყველა ებრაელის დაფასება, საერთოდ, მთელი ერის სიყვარული და ერთაშორის მეგობრობა. გაიხარეთ, ბატონო რობერტ. ჩვენი, ქართულ-ებრაული ურთიერთობა და

ძმობა ურყევია. თქვენ საქართველოს უყვარხართ, ჩვენ გვიყვარხართ. მე განსაჯუთრებით ამაყი ვარ ეს დღეები, რომ ასეთ სიტყვებს ვისმენ ჩემი საყვარელი ებრაელი ერის მისამართით, ლეხაიმ! კვლავ თქვენი წარმატებების მოლოდინში ვარ.

მართლაც, რობერტ ადარის დაჯილდოებების ციკლი ამ დღეს არ დასრულებულა, 7 ოქტომბერს მწერლის სახლში, ამავე დარბაზში ბატონი რობერტ ადარი დაჯილდოვდა „ღირსეული ქართველი ებრაელის ორდენით“ სტუდია „მაქს შავიტის“-ის მიერ. ამ ორდენის ლაურეატები არიან: ჯამლეტ ხუხაშვილი, თემურ მდინარაძე, თემურ ყვითელაშვილი, ქალბატონი ზაირა დავარაშვილი, მაქს მეირ შავიტი არც ეს დღე დასრულებულა მხოლოდ მწერალთა კავშირის საზეიმო თავყრილობით, ტრადიციისამებრ, მეგობრებმა ქართულ სუფრასთან აღნიშნეს კოლეგისა და მონატრებული კაცის სტუმრობა და დაჯილდოება.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, კვლავ ამომიტივტივდა მწერალთა კავშირის თავმჯომარის, ბატონი ბალათერის სიტყვები, როდესაც ნუგზარ ჯანაშვილის სამადლობელ წერილს ვკითხ-



მანანა დუშაპარე, როგორთ ადარი

და დაფასება მწერალთა კავშირის კულტურის დესპანობა წმინდა მიწაზე. მწერალთა სახლი ერთი დიდი ოჯახია, სადაც ლიტერატურული ცხოვრება დუღს, თქვენ ამ ოჯახის საპატიო წევრი ბრძანდებით ან უკვე, გვიამბეთ ქართულ სამწერლო სამყაროსთან ათწლეულების წინ დაწყებული მეგობრობის ისტორია.

საქართველოს მწერალთა კავშირი იდითგან იყო ინტელიგენციის სამჭედლო. მასში ფეხი პირველად 80-იანების ბოლოს შევდგი, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრი გავხდი. ამ ორგანიზაციას ნეტარხსენებული გურამ ფანჯიკიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც ამავდროულად

ულობდი სრულიად საქართველოსადმი, მამის ნაცვლადაც მადლობას სწირავდა პოეტი თავის „პირველ აკვანს“ და ლექსით ეფერებოდა.. „ეს ჯილდო, წოდება თუ რეგალია ეკუთვნის უპირველესად მას, მამაჩემს, ფირუზ ჯანაშვილს, თხემით ტერფამდე პოეტს!“

„მე შეძრული ვარ ქართული მიწის,

გულსჩატეული მიწის მგოსნობით,

უხილავ ცეცხლში ვდგავარ და ვიწვი

საკადრი სიტყვის ვერგამომცნობი“ /ფ. ჯანაშვილი/

1. ბატონო რობერტი, საკმაოდ მაღალი ნდობაა

და დაფასება მწერალთა კავშირის კულტურის დესპანობა წმინდა მიწაზე. მწერალთა სახლი ერთი დიდი ოჯახია, სადაც ლიტერატურული ცხოვრება დუღს, თქვენ ამ ოჯახის საპატიო წევრი ბრძანდებით ან უკვე, გვიამბეთ ქართულ სამწერლო სამყაროსთან ათწლეულების წინ დაწყებული მეგობრობის ისტორია.

გახლდათ მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, მოგვიანებით კი - თავმჯდომარე. ამის გამოისობით შესაძლებლობა პქონდა საზოგადოების სხდომები უშუალოდ ამ ისტორიულ შენობაში ჩაეტარებინა. ჩემი და ბატონი გურამის მეგობრობამ სათავე იმ პერიოდიდან აიღო და ათწლეულები სუფთად და უღალატოდ გასტანა. შემდეგ გარკვეული პერიოდი ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად ამირჩიეს და ბედნიერება მქონდა მონაწილეობა მიმეღო სხდომებსა და სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში ქართველი მეცნიერებისა და ხელოვნების ისეთ კორიფეულებთან, როგორებიცაა: როინ მეტრეველი, ელგუჯა მაღრაძე. ლევან სანიკიძე, გურამ ფანჯიკიძე, მწერალთა კავშირის დღევანდელი თავმჯდომარე – ბალათერ არაბული, იმ დროისათვის ახალგაზრდა მწერლები - ნოდარ კობერიძე, ზაალ ბოტკოველი და სხვები... ამ ხანას “ოქროს პერიოდი” ჰქვია ჩემთვის. ამიტომ ვთვლი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჩემდამი გამოცხადებული მაღალი ნდობა სათავეს ქართული სიტყვის ცნობილ დიდოსტატებთან გატარებული წლებიდან იღებს და შესაბამისად, საპატიო წევრის სტატუსი და წმინდა მინაზე მწერალთა კავშირის კულტურის დესპანობა დიდ პატივად მივიღე. წლების წინ ეს ამბავი ჩემთვის მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ახლა ჩემი ამოცანა ერთია – რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მინდა მოვუტანო ქართველებისა და ებრაელების ერთაშორის ურთიერთობას და არა მხოლოდ კულტურულ ასპექტში. ხმამაღლა ვუთხრათ მსოფლიოს რა ხალხი ყოფილან ქართველები, რომლებმაც თავიანთი სულისა და გულის ნაწილი უწილადეს საუკუნეების მანძილზე ებრაელ ერს და რა ხალხი ვყოფილვართ თავად ჩვენ – ებრაელები, რომლებსაც დღემდე გვენატრება ჩვენი წინაპრების სამშობლო, სადაც დავიბადეთ, სადაც დაირჩა ჩვენი აკვანი, ავიდგით ფეხი, ვისწავლეთ ანი და ბანი, რეშეთ-ბეთი (ანბანი, ივრით.) – და აზრი მივანიჭეთ ჩვენს სიცოცხლეს.

2. 2017 წლის 6 ოქტომბერი ქართულ-ებრაული ისტორიული მეგობრობის ბენეფიციალი იყო. იქ გახლდით და პირადად ვიხილე ორივე ერის თვალსაჩინო წარმომადგენლები როგორ ამაღლებ-ულად ცდილობდნენ დაედასტურებინათ ურთიერთპატივისცე-მა. გვიმპეტ „თქვენი თვალით დანახული“ ქართველ და ებრაელ საზოგადო მოღვაწეთა მეგობრობის დღე მწერალთა სახლში

ეს დღე ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესად იქცა და არა მხოლოდ მწერალთა კავშირის საპატიო წევრობისა და გამო – უნდა ავლნიშნო, რომ თითოეული გამომსვლელის სიტყვა იყო ღრმა სახელმწიფოებრივი ნააზრევის მატარებელი და ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანი: საქართველოში ისრაელის სრულუ-ფლებიანი ელჩი, შაბთაი ცური; პრემიერის მრჩეველი კულტურ-ის საკითხებში – გურამ ოდიშარია; ჩვენი საყვარელი მაესტრო – ვაჟა აზარაშვილი და მისი მეუღლე, პოეტი მანანა დანგაძე; რუსთაველის საზოგადოების თავმდომარე, დავით შემოქმედე-ლი, ქ-ნილეილა ნოდია, რომელიც ამავე საზოგადოებაში ქარ-თულ-ებრაულ ურთიერთობებს ხელმძღვანელობს; საზოგადო მოღვაწე გივი შახნაზარი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საათავეში მდგომი ებრაული თემის თვალსაჩინო წარმომადგენ-ლები – ჯამლეტ ხუსაშვილი და ზაირა დავარაშვილი. ეს დღე ისტორიაში შევიდა, როგორც ერთაშორის მეგობრობის მინი სიმპოზიუმი, რომლის ორგანიზებაშიც ლომის წილი მიუძღვის საზოგადო მოღვაწესა და მწერალს ნოდარ კობერიძეს, უდიდესი მადლობა მას რომ დარბაზში შეკრებილ ინტელიგენციას ასეთი ბედნიერი წუთები აჩუქა.

3. იმ დღეს ბატონმა ჯამლეტ ხუსაშვილმა გაახმოვანა მისი და ლეგენდარული კოტე მახარაძის ათწლეულების წინანდე-ლი ჩანაფიქრი და წარსულში ქართული სპორტისადმი თქვენი დამსახურებებისათვის სპეციალური მედლით დაგაჯილდოვათ. გვიამბეთ თქვენი სპორტული კარიერის შესახებ.



ქ. ხაიდაბა

დავდიოდი ჭიდაობაზე ცნობილ მწვრთნელ თვალჭრელიძესთან. მოხდა ისე, რომ მძიმე წონის მოჭიდავესთან ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მარჯვენა ხელი მოვიტეხე, ჭიდაობას ვეღარ შევძლებდი. ვარჯიში დავიწყე მაგიდის ჩიოგბურთის სექციაში პიონერთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. საკმაოდ წარმატებული გამოდგა ჩემთვის ეს სახეობა: იყო თბილისის ჩემპიონობა, თბილისის აბ-

სოლუტური ჩემპიონობაც, ვიყავი არაერთი შეჯიბრის გამარჯვებული - საქართველოს ჩემპიონი მოზრდილთა შორის თბილისის პირველი გუნდის შემადგენლობაში, ვიყავი საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალის მონაწილე მოზარდებს შორის, სხვადასხვა სპარტაკიადაში გამარჯვებული.. ბატონმა ჯამლეტმა ამ დღეს განსაკუთებული სამახსოვრო მედალი გადმომცა და გააუდერა, თუ როგორ არ გააშუქებინეს იმ პერიოდში ჩემი ერთ-ერთი გამარჯვება მას და კოტე მახარაძეს. ეს მედალი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, რადგანაც იგი ჩემი ბავშვობის მეგობარმა, ქართულ-ებრაული ურთიერთობების დიდმა ამაგდარმა, პლანეტის უსუცესმა სპორტულმა კომენტატორმა და უბრალოდ შესანიშნავმა ადამიანმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა გადმომცა.

## შალვა რიცხავილი:

"ქართული კულტურის ამაგდარის" წოდების მონიქებამ დიდი სიხარული მომგვარა. ეს ჩემთვის ერთობ სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ვეცდები დავამტკიცო, რომ ეს წოდება დამსახურებულად მივიღე. ამჟამად ვმუშაობთ ჩვენი პროექტის მეორე ნაწილზე - გამოსაცემად ვამზადებთ "საქართველოს ებრაელთა პროზას", რომელსაც მკითხველი მიიღებს მომავალი წლის დასაწყისში.

პატივისცემით,

**შალვა წიწუაშვილი.**

ამ არაორდინალურ სვეტთა ავტორი გახლავთ  
ირინა ბიბილევიშვილი  
და მადლობა მას. პუბლიცისტიკა

სიტყვაკაზმული ქართულით მოსაუბრეს, ქრესტომათიული ცოდნით აღჭურვილს, ებრაული კულტურის, ქართული სიტყვის პოპულარიზაციის საქმეში დაღლილს, ჩვენი ერის სახელო-



წოდარ კოგენიდე  
გოდების კადელთან

ვან მამულიშვილს, საუკეთესო მეოჯახესა და ერუდირებულ კაცს, საქველმოქმედო ორგანიზაციის "გულთა კავშირის" სალოგანის ავტორს, ბატონის ააკ კრისტეს ვულო-ცავთ დაბადების 65 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობით, სულიერი სიმშვიდით და ხანგრძლივი სიცოცხლით, ღრმა მოხუცებულობამდე მიეღწიოს, დალოცვილი იყოს ღმერთიდან,



რობერტის მთალი ოჯახი

ბედნიერება დაემკვიდროს მის ოჯახს, მის შთამომავლობას კი მიეცეს უსაზღვრო სიხარულები, ამენ!

"ადამიანი ღმერთის შვილია, ხოლო განათლებული ადა-მიანი - ღმერთის მეგობარი" (ილია მეორე) ვიცით ბ-ნი ისააკი, ამ ფრაზას არ მოირგებს, გვერდს აუვლის და ქების ამ ფორმას არ მიიღებს, მისი თავმდაბლობის გამო, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით!

მას უამრავი, ღირსეული ადამიანური თვისებები ამკობს და ალამაზებს!

ბ-ნი ისააკი, დიდი წონით და შესანიშნავი ავტორიტეტით სარგებლობს ოკეანის გაღმაც და მაღალი ღირსებით ეგებებიან მას, თავის ისტორიულ სამშობლოში თუ, მშობლიურ საქართველოში.

ყოველივე ეს ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, მაღალ რანგში, ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევს და ემოციური მუხტით ვიტვირთებით ისე, როგორც დუდუკზე ამღერებული მისი ქალაქური მელოდიების, ჯემალ აჯიაშვილის სონეტებისა



მაცხოვრის საფლავის  
შესასვლელთან

ქართული ტრადიციებით, თქვენმა რომ დაგიტოვეს!

"გულთა კავშირი" გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას და გამარჯვებებს, ჩვენო სახელოვანო და ძვირფასო, მეგობარო !


ლ ე ხ ა მ !!!

„გულთა კავშირის“  
პრეზიდენტი  
რობერტ ადარი

**ისრაელში ნასვლით გადავარჩინო ოჯახი,  
თორემ იარაღი რომ დაგეძოთ და**

**და გეთქვათ, ნადი! გეფყოდით, ისროლეთ!“-  
როგორც აჯიაშვილი**

26 საუკუნის წინ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილი ებრაული თემი ძვირფასი განძით, ელია წინასწარმეტყველის ხალენით ქართლს მოადგა და მცხეთის მამასახლისს თავშესაფარი სთხოვა არავინ იცის განსაკუთრებით რამ იმოქმედა, მაგრამ ფაქტია, რომ მცხეთის კარი და გული მათვის სამუდამოდ გაიღო ამ საოცარი შეხვედრის შემდეგ ისტორიული ჩარხი კანონზომიერად დატრიალდა. გადის საუკუნეები და ქართველი ებრაელების, ელიოზ მცხეთელის და ლონგინოზ კარსნელის მიერ იერუსალიმიდან უდიდესი სასოებით ჩამობრძანებულ უფლის კვართს ებრაელ სიდონიასთან ერთად სამუდამოდ იკრავს მეკრდში ქართული მიწა. ღვთის განგებით მცხეთა მეორე იერუსალიმად იქცა. არც მანამდე და მითუმეტეს, არც მერე, ისტორიას არ ახსოვს არცერთი შავი ლაქა ამ ორი ერის ურთიერთობისა „იმიერიდან ჩვენც ისეთივე ერთგულები ვართ ამ მიწა-წყლის, როგორც აბორიგენი. ჩვენც ისევე გვაწუხებს ქართული ტკივილები, როგორც მოყვასს ჩვენც ისევე გვიმღერიან „იავნანას“, როგორც თანაშეზრდილ და-ძმას, გაჭირვებისას, ჩვენც ქართულად შევძახით „ვაიმე დედას“ და დალხინებისას „ვარჲალალოს“ ეს იყო იდეალური თანხვდენა, კავშირი ორი მაღალზნეობრივი და კულტურული ერისა - ამგვარი წინასიტყვაობა ახლავს თან „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიას, რომლის პრეზენტაციაც საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა. წიგნში 65 ქართველი ებრაელი პოეტის ლექსია შესული და ორი ერის 26 საუკუნოვან თანაცხოვებას ეძღვნება. ბევრმა მათგანმა ლექსების წერა მხოლოდ სამშობლოდან სამშობლოში წასვლის შემდეგ, უდიდესი ნოსტალგიის ფონზე დაიწყო.



ალექსანდრე აელეგის ნიგნი

საზოგადოება.გე-ს ქართ-  
ველი ეპრაელი პოეტი რობერტ  
აჯიაშვილი (ადარი) და საქართ-  
ველოს მწერალთა კავშირის თავ-  
მჯდომარე ბალათერ არაბული  
ესაუბრნენ:

—ბატონო რობერტ, რა ფე-  
ნომენია „26-ე საუკუნე“ და რას  
ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ის-  
რაელში ქართველი გქვიათ?

—ისრაელში ქართველი რომ  
მქვია, ეს ჩემი დიდი ეროვნუ-  
ლი სიამაყეა. საქართველოში  
დავიბადეთ, საქართველოს მი-  
ნამ გამოგვება, ენა ქართუ-  
ლად ავიდგით, ჭირსა და ლხინში  
გარევა საქართველოში ვისწავ-  
ლეთ, აქ მივანიჭეთ აზრი ჩვენს  
ცხოვრებას. სადაც არ უნდა  
ნავიდეთ, ეს ჩვენი ტრადიცია

ყველგან თან მიგვცვება, ამის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ, სხვაგ-  
ვარად, სულიერად გავლარიბდებით ჩვენი ფესვები ხომ ქართ-  
ველი მშობლების და წინაპრების წიაღიდან მოდის. საქართვე-  
ლოს მინამ უკუნითი უკუნისამდე გულში ჩაიხუტა დედაჩემის  
ნეშტი „დამპალოს“ სასაფლაოზე. რა უფლება მაქვს ან რა გული  
მექნება, ის მინა დავივიწყო, რომელმაც გულში ჩაიკრა დედაჩე-  
მი დაგვახრჩო ნოსტალგიამ, ჩემო კარგო, სასუნთქი გზები გვა-  
ქვს გადაკეტილი, ჩვენ გადაბმულები ვართ ქართველობასთან,  
მე წასვლით მხოლოდ ოჯახი გადავრჩინე, თორემ იარაღი რომ  
დაგედოთ ჩემთვის და გეთქვათ „წადი!“ გეტყოდით, ისროლეთ

აქ არის ჩემი ისრაელი, ყველგან ვამბობ, მე ეროვნებით ქართველი ვარ, სარწმუნოებით ვარ ებრაელი. აი, ეს არის 26 საუკუნე, სისხლში და ხორცში გამჯდარი.

-როგორ ფიქრობთ, შემთხვევითი იყო ის შეხვედრა, რომელიც 26 საუკუნის წინ ჩვენს შორის შედგა, შემთხვევითი იყო ის ფაქტი, რომ ებრაელმა დევნილებმა უდიდესი წინასწარმეტყველის და წმინდანის ელია თეზბიტელის ხალენი მტრისგან გამოსარიდებლად დიდი სასოებით საქართველოში ჩამოაბრძანეს?

-ეს უკვე განგებამ ინება ასე, კანონზომიერება იყო ასეთი, დიდი მიზიდულობის ძალა ამოქმედდა და ახლო აღმოსავლეთიდან გამორიყული ჩვენი თემი კავკასიას მოადგა, მათ მცხეთის მამასახლისმა გაულო კარი. მას შემდეგ საუკუნეები გრძელდება ეს სიყვარული, ქართული გვარის ვარ, აჯიაშვილი, გვარის შეცვლის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ თუ იქაურ გვარს არ მივიღებდით, ძალიან გაგვიჭირდებოდა. ისინი სულ სხვა მენტალიტეტის ხალხია, ამ შემთხვევაში ჩემს თავზე არ ვფიქრობდი, მე აჯიაშვილი ვარ და აჯიაშვილად დავრჩები ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ადარი მხოლოდ იმის გამო გავხდი, რომ ბავშვებისთვის იქ გზა გამეკვლია, სხვანაირად მომავალი არ ექნებოდათ. მე ანი, ამ ხნის კაცს, ვინ შემცვლის, ვინ გადამაგვარებს, ჩემში ყველაფერი ქართულია, ქართულად ვმღერით, ვცეკვავთ, ქართულ სუფრებს ვაკეთებთ, ქართულ ქორწილებს ვიხდით, ქართულად ვწერთ ლექსებს, ჩემო ბატონი

-რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ისტორიას არ ახსოვს



მაყვალა გონაშვილი და  
რობერტ ადარი



შეუძლია მარტინ გარებოს და მარია გარებოს ქადაგი და მარტინის მარტინის ქადაგი.

არცერთი შავი ლაქა ქართულ-ებრაული ურთიერთობებისა, თუ გიფიქრიათ ამაზე?

-„არ გაუკეთო სხვას ის, რასაც შენთვის არ ისურვებდი“ - ქართველებიც და ებრაელებიც სწორედ ამ წიაღიდან მოდიან, ეს იყო მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ჩვენს შორის შავკატას არასოდეს გაუვლია. ქართველების და ებრაელების გულები ერთმანეთთან ყოველთვის წმინდა სიყვარულით იყო შეერთებული.

დალიან გვაკლია საქართველო და საქართველოსაც აკლია აქედან წასული ებრაელები. ჩვენ ერთ ოჯახში ვიზრდებოდით, სიყვარულს, რომელიც ქართველებმა გვაჩუქეს, არასოდეს დავივინწყებთ. ქართველი ებრაელები ძალიან ერთგულები და მადლიერები ვართ საქართველოსი. უდიდესი მანკიერებაა, როდესაც ადამიანი უმადურია. ისრაელში ებრაელები 70 ქვეყნიდან არიან ჩასულები, ქართველი ებრაელები ერთადერთი თემი ვართ, რომლებიც ჩვენს სამშობლოს, საქართველოს მივტირით, დანარჩენები აგინებენ ქვეყანებს, სადაც მანამდე ცხოვრობდნენ. დამიჯერეთ, გულწრფელი ვარ, სიმართლეს გეუბნებით.

სულ ვფიქრობ, რა ძალა იყო ის, რომ ქართველმა ხალხმა 26 საუკუნე ასე შეგვინახა?

-ქართველი ებრაელების პოეზიას ფონად გასდევს ნოსტალგია და უდიდესი სიყვარული საქართველოსადმი. „უაფხაზეთოდ მკერდმოჭრილი დავიარები“. „და აი, ახლაც ისრაელის მცხუნვარე მზის ქვეშ, ხმელთა შუა ზღვის პირას თქვენზე ვფიქრობ,

ბედსა არ ვნებდები“ ეს სტრიქონებია თქვენი ლექსიდან რას ნიშნავს აფხაზეთი ქართველი ებრაელისთვის?

-როგორც თქვენ გტანჯავთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენც ისე გვტანჯავს მკერდმოჭრილი საქართველო. აფხაზეთში ხშირად მიხდებოდა მივლინებით წასულა, ბზიფის ხიდს რომ გადავკვეთდი, გული საშინლად მიწყებდა ცემას, ძალიან მიყვარს ჩემი აფხაზეთი, მაგრამ ღმერთი დიდია, ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს მიწებს დრო უნდა ყველაფერს ქართველ ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია, რომელიც ჩვენ გამოვეცით არის სისხლის ყივილი საქართველოსადმი. ამ პოეზიაში ჩანს დიდი სიყვარული, მადლიერება და ნოსტალგია ქართველი ერის მიმართ.

-ლექსებს მხოლოდ ქართულად წერთ?

- დიახ, ადრე რუსულადაც ვწერდი, მაგრამ პროტესტის ნიშნად შევწყვიტე, ამჯამად მხოლოდ ქართულად ვწერ, ივრითი იმდენად არა მაქვს ათვისებული, რომ ლექსები ვწერო

-საოცარი ფაქტია ის, რომ სხვადასხვა დიასპორის ებრაელებისგან განსხვავებით, ქართველ ებრაელებს თავიანთი სალაპარაკო ენა არ შეუქმნიათ. ისე როგორც, მაგალითად, ესპანელმა ებრაელებმა შექმნეს ლადინო, აშენაზებმა-იდიში, აფრიკაში დაბადებულებმა-ამჰარითი და ა.შ. გამონაკლისს მხოლოდ ქართველი ებრაელები წარმოადგენთ.

-ერთადერთი, რაც ჩვენ გვასულგდგმულებს, ქართული მეტყველებაა. ჩვენ „აი ია“-ზე, „თხა და გიგოზე“, „ნაცარქექიაზე“ გავიზარდეთ. ოთხი შვილიშვილი მყავს, როცა ერთ-ერთმა ქართული ანბანის შესწავლა მოინდომა, გაზეთებიდან ქართული ასოები ამოჭრა და ივრითული შესატყვისი მიუწერა. თქვენ წარმოიდგინეთ, ორ კვირაში ბავშვებმა ქართულად ლაპარაკი თავისით დაიწყო. ეს არის ფენომენი, რომელიც შთამომავლობას სისხლში აქვს გამჯდარი და თაობიდან თაობაზე გადადის.

-საქართველოს მწერალთა კავშირმა მოგანიჭათ წილება „საქართველოს დესპანი ისრაელში“, რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

-საქართველოს დესპანის წოდება ჩემთვის მსუბუქი ტვირთი არ არის. იმის გამო, რომ მე უზომოდ მიყვარს ჩემი ბავშვობის სამშობლო, უზომოდ მიყვარს ეს ბრწყინვალე ხალხი, ქართველობა, მინდა ერთ-ერთი მათგანი ვიყო, ვინც საქართველოსა და ისრაელს შორის კულტურულ ურთიერთობებს გააღრმავებს. ისრაელის კულტურის სამინისტროს შევაწყებ და ოფიციალურ დონეზე გავაკეთებ ყველფერს, რასაც ჩემი საქართველო მეტყვის. 24 წელია, რაც ისრაელში ვცხოვრობ და ამდენივე წელია ვმუშაობ ელექტროკომპანიაში. იქ ფანტასტიკურ სფეროს განეკუთვნება ამდენ ხანს ერთსა და იმავე ადგილზე იმუშაოს კაცმა, მაგრამ ქართული მენტალიტეტი მეხმარება, თანამშრომლებს ქართულს ვასწავლი, ლექსებსაც ვუკითხავ ხოლმე ქართულად და ჯერჯერობით მტოვებენ, არ მაგდებენ

-ბატონო რობერტ, ორ ათეულ წელზე მეტია წასული ხართ საქართველოდან, როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა აქ ამ ხნის განმავლობაში, რა არის თქვენთვის ყველაზე უფრო თვალშისაცემი?

-პირველი, რაც თვალში მხვდება ისაა, რომ დანაღვლიანებულია ქართველი ხალხი კარგად ვხედავ და გულისტკივილით აღვიქვამ, რომ ქალსა თუ ვაჟვაცს თვალები სევდიანი აქვს. რატომ არის გაქცეული საზღვაგარეთ ამდენი ქართველი? რატომ კნინდება მათი მუშაობა საზღვარგარეთ? მიდიან, მძიმე სამუშაოს ასრულებენ, ამას ხომ აქაური გაჭირვებული ცხოვრება აიძულებს, საიდან მოდის ეს? რატომ ხდება ასე? ერთობა უნდა საქართველოს, გამთლიანება უნდა, მაგრამ ქვეყანა ისე არ გამთლიანდება, თუ ქართველი ხალხი არ გაერთიანდა.

- მთავარ პრობლემას საზოგადოებაში არსებულ განხეთქილებაში ხედავთ?

-დიახ, ასეა ან რა ჯადო ადევს იმ სკამს, ვინც დაჯდება ყველა ერთი და იგივეს რომ აკეთებს ისრაელში პრეზიდენტს იჭერენ, თუ კანონს არღვევს, პრემიერმინისტრს ციხეში სვამენ

პრემიერები და პრეზიდენტები იცვლებიან, მაგრამ კანონი არ იცვლება, ეს არის ქვეყნის სიძლიერე. აქ რა ხდება? არ გეწყონოთ, დაჯდება პრეზიდენტი და დაინტებს ჭრა-კერვას, რომ კონსტიტუცია თავის მდგომარეობას მოარგოს. ეს ღუპავს ქვეყანას, ეს ღუპავს ხალხს! კანონი ერთი უნდა იყოს, როგორც მუშისათვის, ისე პრეზიდენტისათვის. ისრაელში ხანდახან ცხოველი არ გადადის წითელ შუქზე, კანონი მძვინვარებს.

